F826 № 7241

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო

აზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი | № 1 | 23 X 1990

## უკვდავი პრესსა

ილიასეული „საქართველოს მოამბე“ და „ივერია“ ურნალობდნენ ერის წყლულს, სამზეოზე გამოჰქონდათ ვენი ქვეყნის ჭირ-ვარამი. ილიას პრესსამ ფეხზე აყენა ქართული აზრი, გამოაღვიძა და დარაზმა ერი. ციალ-დემოკრატების ტყვიამ მოჰკლა ილია, მაგრამ ვერ მოჰკლა ქართული აზრი, ეროვნული ულისკვეთება პრესაში.

ილიას ტრადიციები გააგრძელა მეოცე საუკუნის ავისუფალმა პრესსამ არჩილ ჯორჯაძის, კიტა აბაშიძის, ონსტანტინე გამსახურდიას, პავლე ინგოროყვას, ხეილ წერეთლის, გრიგოლ რობაქიძის, გიორგი ერეთლის და სხვათა თაოსნობით, როგორც აქართველოში, ისე საზღვარგარეთ. გაზეთები და ურნალები — „საქართველო“, „ისარი“, „ქართული იტყვა“, „სახალხო საქმე“, „ქართლოსი“, „პრომეთე“, ილიონი“, „საქართველოს სამრეკლო“, „ბედი ართლისა“, „კავკასიონი“, „ახალი კავკასიონი“, გუშაგი“ და მრავალნი სხვანი — აღორძინებაა ართული პრესსისა, საქართველოს განთავისუფლებისა და აღორძინების გზების მაძიებელი ინტელიგენციის ამაერთიანებელი.

თუმც „გასაბჭოებულ“ საქართველოში 1924 წლიდან 975 წლამდე თავისუფალი პრესსა არ არსებობდა და ვიზიკურად ვერც იარსებებდა დრაკონული, ოტალიტარული, რეპრესიული რეჟიმის სისასტიკის ამო, უსასტიკესი ცენზურისა და სუკ-ის ტერორის პირობებში. გაყიდული კომუნისტური პრესსა კი არ ასუხობდა ქართველი ერის გულისთქმას, იგი სულთა ანა იყო საფლავის „მშვიდობის“ მომასწავებელი.

ჩვენს მიერ აღდგენილი „საქართველოს მოამბე“ და „ოქროს საწმისი“ (ჰელსინკის ჯგუფის ჟურნალები) იყო ყვავილი, ყინულზე აღმოცენებული, რომელიც ისევ მალე გათოშა ტოტალიტარიზმის ზამთარმა. ეს იყო სასწაული, ეული ვარსკვლავი უკუნეთ ღამეში, რომელიც შეებრძოლა ბოროტების იმპერიას, შევარდნაძის დიქტატურას, მის ანტიეროვნულ, რუსიფიკატორულ პოლიტიკას; იგი ქომაგად დაუდგა ქართულ ენას, საქართველოს ეკლესიას, დასაღუპად განწირულ ძეგლებს ქართული კულტურისას.

კომუნისტურმა ხელისუფლებამ უსასტიკესი ომი გამოუცხადა თავისუფალ პრესას და მის მესვეურებს. ჩვენ გვაწამეს ციხეებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მაგრამ ვერ გასტეხეს ჩვენი ნება და თავისუფალი ქართული პრესსა კვლავ აღორძინდა 1983 წელს, ჰელსინკის ჯგუფის თვითგამოცემის ჟურნალ „საქართველოს“ სახით, რომელიც ისევ მალე გაგვიუქმეს.

შემდგომში უკვე ლიბერალიზაციის პერიოდიდან, 1988 წლიდან იწყებს გამოსვლას ჰელსინკის ჯგუფის ახალი ჟურნალი „მატიანე“, ხოლო დღეს დაიბადა მრგვალი მაგიდის გაზეთი „თავისუფალი საქართველო“, როგორც სიმბოლო თავისუფალი პრესისა და თავისუფალი აზრის უკვდავებისა.

კურთხეულ იყოს მისი მოვლინება, კურთხეულ იყოს ჩვენი ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ზვიად გამსახურდია



თბილისი, თავისუფლების მოედანი.

ფილიპ კრიმსკის ფოტო.

## საარჩევნო ბლოკი № 12

## მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველო

ქრონიკა — ინფორმაცია — ფაქტი

# 13 ოქტომბერი, მთაწმინდა

„ერთმა წელმა განვლო, თითქოს გუშინ იყო ის შავი დღე, როდესაც მერაბი გამოგვაცალეს. არ ვიცი, რა შეედრებოდა ამ საშინელებას. გადავიტანდით თუ არა ამას მისი ძმები, მაგრამ, ალბათ, ღმერთმა განგვაძლიერა. ღმერთმა განგვაძლიერა, რამეთუ არ გვაქვს უფლება, რომ დავეცეთ, არ გვაქვს უფლება, რომ ჩავიმუხლოთ თუნდაც. თავად მერაბის სულს შეაშფოთებდა ჩვენი დაცემა და უკან დახევა. მჯერა, როგორც თავად მერაბს სჯეროდა საიქიო სულის უკვდავება, და ამით იყო იგი დიადი, ამით იყო იგი უძლეველი. თუ მან გაძლო იმ ჯოჯოხეთში, თუ მან ბოლომდე გაიტანა თავისი მხახურება, სწორედ ამ რწმენით, ღვთისა და სულის უკვდავების რწმენით, რომელიც მასში განუზომლად იყო, განუზომლად და ის ამბობდა — მხოლოდ ამ რწმენით შეიძლება გამარჯვება, მხოლოდ ამ რწმენით გაიმარჯვებს საქართველო. ეს იქადაგა მან თავის შესანიშნავ ნაწარმოებებში და ეს დაამტკიცა მან თავისი გმირული ცხოვრებით. მერაბის პიროვნებაში სარწმუნოება და გმირობა შეერთდა, სარწმუნოება და გმირობა — ორი რამ, რაც იხსნის საქართველოსაც და კაცობრიობასაც. ამით არის ის დღევანდელი მსოფლიოს ერთ-ერთი მნათობი, ერთ-ერთი უდიდესი ადამიანი, ჩვენი ერის სულიერი მოძღვარი. ამით მიგვიძღვის იგი წინ. მივბაძოთ მის მაგალითს, შევიყვაროთ ურთიერთი. და თუ საჭიროა, თავი დავდოთ მამულისათვის. მერაბი დღესაც უდიდესი გამაერთიანებელი ძალაა. მართალია, მისი ამ სოფლიდან გარდაცვალების შემდეგ თავი აიშვეს ბნელმა ძალებმა საქართველოში, არნახულად აიშვეს თავი, არნახულად გადიდგულდნენ, გათავხედდნენ და შემოუტიეს ეროვნულ მოძრაობას, მაგრამ იხევ მერაბი შეაჩერებს ამათ, იხევ მერაბი დაამარცხებს მათ. გახსოვდეთ ეს, მეგობრებო, გახსოვდეთ; იგი ფიზიკურად აღარ არის ჩვენთან, მაგრამ სულიერად ჩვენთან არის, საქართველოსთან არის. იგი არსად არ წასულა, არსად არ წასულა და მარადის ჩვენთან იქნება. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი და საუკუნოდ იყოს დიდება იმ ქვეყნისა, რომელსაც მან შესწირა თავი.

როდესაც მერაბი მიწას მივაბარეთ იმ შავ დღეს, ჩვენ შევფიცეთ, რომ ბრძოლით გიგლოვოთ, ძმაო, ბრძოლით, სხვა გლოვა შენ არ შეგფერის. ეს შევუსრულეთ და უფრო მეტად უნდა შევუსრულოთ. ჩვენი ბრძოლა ჩვენი მამულისთვის, ჩვენი იდეალებისთვის იქნება ნამდვილი ბრძოლა, ნამდვილი გლოვა მერაბ კოსტავასი, სხვაგვარი გლოვა გმირს არ შეჰფერის. მოდით, აღვუსრულოთ მას ეს სურვილი, ეს ანდერძი და ამით ავუგოთ სამარადისო ძეგლი თავისუფალ საქართველოში. ღმერთი იყოს მისი სულის განმანათლებელი და ჩვენი მწყალობელი ამ წმინდა ბრძოლაში".

ეს სიტყვა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წარმოთქვა მთაწმინდაზე, საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას წლისთავისადმი მიძღვნილ თავყრილობაზე. იმ დღეს მთაწმინდაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი. მოვიდნენ, რათა პატივი მიეგოთ საქართველოსთვის თავგანწირული რაინდის ხსოვნისადმი. სიტყვები წარმოთქვეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა. საეკლესიო პანაშვიდი გადაიხადა უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ.

მამულისთვის წამებული გმირის სული დასტრიალებს მთაწმინდას და სრულიად საქართველოს.

# „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო"

მრგვალი მაგიდის შექმნის შემდეგ მას შემოუერთდა რამდენიმე პოლიტიკური ორგანიზაცია და პიროვნება. მრგვალი მაგიდის წევრებმა გადაწყვიტეს გააცნონ საზოგადოებას მრგვალი მაგიდის სრული შემადგენლობა.

**სრულიად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მონაწილენი:**

**სპიკერი** — **ზვიად გამსახურდია**, საქართველოს ჰელსინკის კავშირის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თავმჯდომარე.

**მუდმივი წევრი ორგანიზაციები:**

**საქართველოს ჰელსინკის კავშირი**

თემურ ქორიძე, გიორგი მარჯანიშვილი, ავთანდილ რცხილაძე, გიორგი ხოშტარია.

**სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოება**

თედო პაატაშვილი, ველა ჩორგოლაშვილი, მერაბ ურიდია, თამაზ გველესიანი.

**სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება**

ვაჟა ადამია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, დავით კუპრეიშვილი, ჯემალ გოგიტიძე.

**ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი**

აკაკი ასათიანი, თენგიზ კიტოვანი, ბადრი ფხალაძე, ირაკლი ჩხეიძე.

**წევრი ორგანიზაციები:**

**საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი**

ნემო ბურჭულაძე, რუსლან ღონღაძე, მირიან მირიანაშვილი, დავით ტაბიძე.

**საქართველოს ეროვნულ-ლიბერალური კავშირი**

გიორგი გულბანი, არჩილ ჰირაქაძე.

**საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული პარტია**

ემზარ გოგუაძე, მარიამ ჯიშკარიანი.

**ინდივიდუალური წევრები:**

**მრგვალი მაგიდის მრჩეველთა (ექსპერტთა) ჯგუფის საკოორდინაციო კოლეგია;**

**მუდმივი წევრები სათათბირო ხმის უფლებით**

**თენგიზ სიგუა** — პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, **ვახტანგ ბახტაძე** — საქართველოს ინფორმაციის დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნე"-ს პოლიტიკური დირექტორი, **გიზო კორძაძე** — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, **ბიძინა გიორგობიანი** — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, **თენგიზ დიხამინჯია** — საქართველოს ჰელსინკის კავშირი, **ალეკო მელაძე** — დამოუკიდებლობის ორგანიზაცია, **გიორგი ხონელიძე**, **გურამ პეტრიაშვილი** — მწერალი, **ნოდარ იმნაძე** — საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქ. ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, **არკადი მარკოზია** — სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების ქ. გაგრის ფილიალის ხელმძღვანელი, **გიორგი ხავთასი** — სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, **შალვა წიკლაური** — საქართველოს ჰელსინკის კავშირი, **პაატა ბარათაშვილი** — ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი, **ამირან კალაძე** — მწერალი, **რობერტ პეტრიაშვილი** — საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი, **პოლიევქტო (პოლიკო) გოგელია** — საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი 1923 წლიდან, **მუხრან მაჭავარიანი** — მწერალი, **ნოდარ წულეისკირი** — მწერალი, **ავთანდილ იმნაძე** — საქართველოს ეროვნული ფრონტი — რადიკალური კავშირი, **ნუგზარ მგალობლიშვილი** — საქართველოს ჰელსინკის კავშირი, ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაცია, **რევაზ ქემულარია** — სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება, ცხუმ-აფხაზეთის ორგანიზაცია, **იოსებ ბარათაშვილი**, **მამუკა ფაჩუაშვილი** — გაზეთ „თავისუფალი საქართველო"-ს რედაქტორი, **პაატა ქურციკიძე** — ქ. რუსთავის დამოუკიდებელი პროფკავშირების თავმჯდომარე.

**თბილისი, 17. 10. 90.**

# შეხვედრები ამომრჩევლებთან

საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე 5 დღე დარჩა. მიმდინარეობს საარჩევნო კამპანია. საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" — დეპუტატობის კანდიდატები და მათი ნდობით აღჭურვილი პირები სისტემატურად ხვდებიან ამომრჩევლებს დედაქალაქში თუ საქართველოს სხვადასხვა რაიონში. დეპუტატობის კანდიდატები საუბრობენ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო"-ს საარჩევნო პოლიტიკურსა და ეკონომიკურ პლატფორმაზე, პასუხობენ მრავალრიცხოვან კითხვებს, მიმოიხილავენ შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციას. შეხვედრები ყველგან დიდ ინტერესს იწვევს.

როგორც წინასწარ ჩატარებული რამდენიმე გამოკითხვიდან ჩანს, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი „მრგვალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციებს უჭერს მხარს.

ზვიად გამსახურდია და „მრგვალი მაგიდის" სხვა წარმომადგენლები უკვე ეწვივნენ ოზურგეთს, ბათუმს, ლანჩხუთს, აბაშას, ხობს, ჩხოროწყუს, ბაღდათს, ვანს, ზუგდიდს, გალს, წალენჯიხას, სენაკს, მესტიას, ბოლნისს. ამ რაიონებში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგები და შეხვედრები.

საარჩევნო კამპანია გრძელდება.

# მორალური გამარჯვება

## ანუ რატომ შიმშილობდნენ უნივერსიტეტში

18 ოქტომბერს, ხუთშაბათს, დღის მეორე ნახევარში უნივერსიტეტში შიმშილობის აქცია შეწყდა, მანამდე კი მოვლენები ასე განვითარდა: 10 ოქტომბერს უნივერსიტეტის სტუდენტებმა, პროფესორ-მასწავლებლებმა სათათბიროდ მოიწვიეს პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის" წევრები, მაგრამ სტალინელებმა დუმილით უპასუხეს მიწვევას.

იმავე დღეს, პროტესტის ნიშნად, შიმშილობა გამოაცხადა ემზარ გოგუაძემ, კოტე ნიშნიანიძემ, ვახტანგ ცაგარეიშვილმა, ნუგზარ დვალმა. მეორე და მესამე დღეს მოშიმშილეებს შეუერთდნენ თეიმურაზ ლეჟავა და ვანო ყვავილაშვილი. ჯანმრთელობის გაუარესების გამო ორმა მათგანმა იძულებით შეწყვიტა შიმშილობა.

აქციის მონაწილეებმა სამი მოთხოვნა წამოაყენეს:

გამოქვეყნდეს ინფორმაციები კრემლთან საქართველოს მთავრობის ყოველგვარი მოლაპარაკების შესახებ. აიკრძალოს ყველა სახის ხელშეკრულების დადება ახალი პარლამენტის არჩევამდე.

ამოღებულ იქნან პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და ბლოკების სიიდან პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინი", აგრარული კავშირი და დემოგრაფიული საზოგადოების „ეროვნული პარტია".

შეწყდეს ყოველგვარი ტერორი საქართველოში.

მოშიმშილეებს სოლიდარობა გამოუცხადა საქართველოს ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სტუდენტებმა, გაიფიცა უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტი.

შიმშილობის აქციის გამოცხადებიდან მეშვიდე დღეს არჩევნებიდან მოიხსნა აგრარული კავშირი. მერვე დღეს უმაღლესმა სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის" მონაწილეობა არჩევნებში კანონს ეწინააღმდეგება და ამდენად საარჩევნო სიიდან სტალინელთა კანდიდატურებიც მოიხსნა.

საუბარი, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, შიმშილობის მეშვიდე დღეს ჩავიწერეთ. მაშინ, როცა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო ორგანიზაცია „სტალინის" საკითხი.

ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელმცოდნეობის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი **ნუგზარ დვალი**: მე არა ვარ არც ერთი პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის წევრი. ჩემი მონაწილეობა ამ აქციაში პიროვნულია. შიმშილობის შესახებ ტელევიზიის საშუალებით შევიტყვე და შემოვუერთდი, რადგან მიმაჩნია, რომ ორგანიზაცია „სტალინის", აგრარული კავშირისა და დემოგრაფიული საზოგადოების „ეროვნული პარტიის" მონაწილეობა არჩევნებში არაკანონიერია. ეს ორგანიზაციები კომუნისტური პარტიის მხრიდანაა ინსპირირებული. ამას მოწმობს კანდიდატთა სიები. აგრარული კავშირის საარჩევნო ბლოკიდან ამოვარდნა, ნაწილობრივ, ჩვენი აქციის შედეგი მგონია, რადგანაც შიმშილობის გამოცხადების შემდეგ გამახვილდა ყურადღება მათ პარტიულობაზე. რაც შეეხება პოლიტიკური ორგანიზაცია „სტალინის" აღორძინებას საქართველოში, ესაა ქართველი ხალხის დისკრედიტიზაციისათვის შექმნილი ორგანო, რომლის არსებობას ზნეობრივი გამართლება არ მოეძებნება. მათი მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში სამარცხვინოც კი იქნება პროგრესულად მოაზროვნე მსოფლიო საზოგადოების წინაშე.

**თეიმურაზ ლეჟავა**, ისტორიკოსი: შიმშილობა, სტალინიზმის გამოღვიძების საფრთხის გამო, პროტესტის ნიშნად გადავწყვიტე. ორგანიზაცია „სტალინის" შექმნა საქართველოში, ჩემი აზრით, სახელმწიფოებრივი ტერორიზმის, უუფლებობის, ადამიანთა დაჩლუნგების აღდგენის მანიშნებელია. სამწუხაროა, რომ სტალინელებს ბევრი მომხრე ჰყავთ და თუ ჩვენი აქცია გარკვეულ ნაწილზე მაინც მოახდენს მორალურ ზეგავლენას, ჩავთვლით, რომ ტყუილად არ გავრჯილვართ.

უნივერსიტეტის თანამშრომელი, **ემზარ გოგუაძე** გარეგნულად საკმაოდ მშვიდად გამოიყურებოდა, თუმცა გაზეთ „ქართული ფილმის" სწორედ იმ ნომერს კითხულობდა, სადაც მაგდა მჭედლიძემ შესაშური „სიბრძნით" ნაკარნახევი დარიგებები მიაწოდა როგორც აქციის მონაწილეებს, ასევე მკითხველთა აუდიტორიას. „დროა ბოლო მოეღოს ასეთი მასშტაბური აქციების თვითნებურად წამოწყების პრაქტიკას, მით უმეტეს, როცა საქმე საერთო-ეროვნულ ინტერესებს ეხება" („ქართული ფილმი", 17 ოქტომბერი, 1990, №42 „ორი აქციის თაობაზე"). — ამ პასკვილში ყველა ფრაზას კონკრეტული მისამართი აქვს. როგორ ფიქრობთ, რატომ შეაფასა „ქართულმა ფილმმა" თქვენი აქცია უარყოფითად? — ამ კითხვით ემზარ გოგუაძეს მივმართეთ.

— „ქართულ ფილმში" გამოქვეყნებული პასკვილით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ამ გაზეთის სახე. მე მგონია, ავტორს არავითარი მორალური და ზნეობრივი უფლება არა აქვს, ასე კატეგორიულად, უარყოფითად შეაფასოს ივნისის შიმშილობის აქცია, რომელიც უდაოდ დიდი მნიშვნელობის ფაქტი იყო თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და რომელმაც საკმაოდ დადებითი შეფასება მიიღო არა მარტო ქართულ საზოგადოებაში, არამედ დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ წრეებშიც, რადგან ბრძოლის ეს ტაქტიკა ჩათვლილია ერთ-ერთ რეალურ გზად თავისუფლებისათვის ბრძოლაში. დღეს შიმშილობის მეშვიდე დღეა. აქცია გაგრძელდება, ვიდრე არ დაკმაყოფილდება ჩვენი მოთხოვნები, უკიდურეს შემთხვევაში შიმშილობა შეწყდება 27 ოქტომბერს, რადგან 28 ოქტომბერი ეროვნული პარლამენტის არჩევნების დღე, დიდი თარიღია საქართველოსათვის და ამიტომ ეს დღე მშვიდი, თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი ექსცესებისაგან.

18 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში, გალიმებულ მოშიმშილეებს შევხვდით. ისინი უკვე სამახსოვრო სურათებს იღებდნენ. ბრძოლის ერთი ეტაპი გამარჯვებით დასრულდა.

**ირმა კახნიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისუფალი საქართველო მხოლოდ ბრძოლით შეიძლება დავიმკვიდროთ

## ინტერვიუ



**თედო პაატაშვილი — საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების გამგეობის წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმოლოგიური ობსერვატორია „თბილისის“ ინჟინერი, საარჩევნო ბლოკის — „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ — დეპუტატობის კანდიდატი საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში**

— **რამდენიმე დღე დარჩა საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე. საარჩევნო კანონპროექტის ირგვლივ იმდენი ძალისხმევა დახჭირდა, იმდენჯერ მოეწყო ამ კანონპროექტის განხილვა, თითქოს ყველაფერი ნათელი უნდა იყოს. მაგრამ მაინც არ ცხრება ვნებათაღელვა და სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები თუ პირები არჩევნების საწინააღმდეგო ერთ-ერთ მთავარ „კოზირად“ მის საბჭოთა სტრუქტურებით ჩატარებას იყენებენ...**

— თუნდაც ის ფაქტი, რომ 28 ოქტომბერს ჯერაც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში უნდა აირჩეს საქართველოს უზენაესი საბჭო და არა საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო, მიუთითებს, რომ ირჩევა არსებულისაგან განსხვავებული უზენაესი საკანონმდებლო ორგანო. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციებს უდიდესი ძალისხმევა დასჭირდათ, რათა საარჩევნო კანონი მაქსიმალურად გაწმენდილიყო საბჭოური ელემენტებისაგან. არჩევნების მრავალპარტიულობა დიდწილად უკვე განაპირობებს მის არასაბჭოურობას, რადგან საბჭოთა კომუნისტური რეჟიმისათვის მრავალპარტიულობა ყოველთვის მიუღებელი იყო. კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს უზენაესი საბჭო ირჩევა, არ ახდენს პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების რეგლამენტაციას არც საბჭოთა კავშირისა და არც საქართველოს სსრ კონსტიტუციებით. არჩევნებში მონაწილე ორგანიზაციები საარჩევნო კანონის მიხედვით ვალდებულნი არიან იცავდნენ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა უზენაესობას. ამასთან, რადიკალური ოპოზიციის ძალთა დაჟინებული მოთხოვნით, პოლიტიკურ პარტიათა წინასაარჩევნო რეგისტრაცია მოხდა არა რომელიმე არსებული საბჭოთა სტრუქტურით, არამედ პარიტეტული წესით შექმნილ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში.

მართოოდენ ის ფაქტი, რომ საარჩევნო კანონი დაამტკიცა და არჩევნები დანიშნა არსებულმა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ შეიძლება ჩაითვალოს მომავალი საკანონმდებლო ორგანოს საბჭოურობის განმსაზღვრელად. პოლიტიკურ პროცესთა ევოლუციური (არარევოლუციური) განვითარება შესაძლებელს ხდის მსგავს პრინციპულ ცვლილებათა რეალურობას, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიტანოთ, თუნდაც ჩილეში პინოჩეტის რეჟიმის მიერ ჩატარებული მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც არსებული რეჟიმის დამარცხებით დასრულდა.

რა თქმა უნდა, აქ ლაპარაკი არ არის „სტერილურ არასაბჭოურობაზე“, რადგან, როგორც საარჩევნო კანონის მიღება, ისე წინასაარჩევნო კამპანია, კომუნისტურ ქვეყანაში ერთპარტიული უზურპირებული ხელისუფლების დროს მიმდინარეობს. სწორედ ეს განაპირობებს როგორც საარჩევნო კანონის ერთგვარ კომპრომისულობას, ისე წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილე ორგანიზაციათათვის აშკარად არათანაბარ პირობებს.

მიუხედავად გარკვეული „საბჭოური“ მინარევებისა, ვლაპარაკობთ რა მომავალი უზენაესი საბჭოს არასაბჭოურობაზე, ვგულისხმობთ იმას, რომ საარჩევნო კანონიც და საქართველოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციაც იძლევა საშუალებას (თეორიულ შანსს), ჭეშმარიტად ეროვნული ინტერესების დამცველი უზენაესი საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანო აირჩეს. პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში სწორედ საქართველოში შეიქმნა წარმოუდგენელი პრეცენდენტი მრავალპარტიული, არასაბჭოური, კანონმდებლობიდან გამომდინარე არჩევნების ჩატარებისა. ამ გზაზე საქართველოს ეროვნულ მოძრაობას უზარმაზარ წინააღმდეგობათა დაძლევა მოუხდა — ივნისის უვადო შიმშილობები თბილისის უნივერსიტეტსა და მოსკოვის ქართულ სათვისტომოში, ერთობ გახმაურებული საპროტესტო აქცია რკინიგზაზე თუ საარჩევნო კანონის მიღების უაღრესად დრამატული აგვისტოს სესია, რომელიც მთავრობის სახლის წინ გრანდიოზული საპროტესტო მანიფესტაციით დაგვირგვინდა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ საპროტესტო ბრძოლის ძირითადი სიმძიმე, რომელმაც არჩევნების კანონპროექტი საარჩევნო კანონად და მრავალპარტიული არჩევნები რეალობად აქცია, სწორედ მრგვალი მაგიდის საარჩევნო ბლოკში გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა იტვირთეს. ეს არ ყოფილა ბრძოლა არაფრისათვის, როგორც არაერთგზის სცადეს წარმოესახათ. უკიდურესი სიმწვავის საპროტესტო აქციით მოპოვებულ თითოეულ „არასაბჭოურ“ პრინციპს, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ბალტიის ქვეყნებისაგან საქართველოს გეოპოლიტიკურ თუ საერთაშორისო ასპარეზზე განსხვავება სწორედ ქართული და ბალტიური უზენაესი საბჭოების „საბჭოურობებს“ შორის განსხვავებით უნდა დაიძლიოს. თუ საქართველოს თავისუფლება გვინდა, აქედანვე უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ცენტრთან გაცილებით მწვავე დაპირისპირებები მოგვიწევს, ვიდრე ბალტიის ქვეყნებს. თავისუფალი საქართველო მხოლოდ ბრძოლით შეიძლება დავიმკვიდროთ. იმედს გამოვთქვამთ, რომ ლიბერალური ოპოზიციის ბალტიურ მაგალითთა მოყვარული ორგანიზაციები უზენაეს საბჭოში გაცილებით მეტ შემართებასა და ბრძოლისუნარიანობას გამოიჩენენ, ვიდრე წინასაარჩევნო პერიოდში.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ რადიკალური ოპოზიციის მეცადინეობით ყველა იურიდიული თუ საკანონმდებლო წინაპირობა შექმნილი, რათა ახლადარჩეული უზენაესი საბჭო არ იყოს საბჭოური ხელისუფლების ორგანო. ამჟამად ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შემადგენლობით დაკომპლექტდება საქართველოს მრავალპარტიული უზენაესი საბჭო. ყველასათვის ნათელია, სადამდე მიიყვანა ჩვენი სამშობლო სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა მმართველობამ. ურთულესი გარდამავალი პერიოდისას საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში კომუნისტურ თუ პროკომუნისტურ ძალთა სიჭარბე დიდ სირთულეებს შექმნის თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე. დღევანდელი რუმინეთი ამის მაგალითია. მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობა უფლებებთან ერთად ამომრჩეველს ქვეყნის მომავალი ბედის გადაწყვეტის საქმეში უზარმაზარ პასუხისმგებლობასაც აკისრებს, ამიტომ თითოეულმა ჩვენთაგანმა სრულად უნდა გააცნობიეროს საქართველოს უახლესი ისტორიის ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპი და აქტიური ქმედებით ხელი შეუწყოს ჭეშმარიტად ერის თავისუფლებისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლ ძალებს.

— **როგორ წარმოგიდგენიათ ახლადარჩეული უზენაესი საბჭოს პირველი ნაბიჯები საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე?**

— ალბათ, დღეს აღარავისთვის არის საკამათო, რომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გარკვეული დროის შუალედია საჭირო. გარდამავალ პერიოდში უნდა მოხდეს იმ პოლიტიკური და ეკონომიკური საფუძვლების შექმნა, რომლებზეც დაფუძნდება თავისუფალი საქართველოს სახელმწიფოებრიობა.

საბჭოთა კავშირში ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებათა გაფორმება შემდეგი სცენარით ვითარდება: ცდილობენ, რესპუბლიკებს ჯერ გამოაცხადებინონ ფიქტიური დამოუკიდებლობისა თუ სუვერენიტეტის დეკლარაცია, ხოლო შემდეგ „სუვერენული“ და „დამოუკიდებელი“ სახელმწიფო სუბიექტები ახალი ინდივიდუალური სამოკავშირეო ხელშეკრულებით შებორკონ.

საქართველოს სუვერენიტეტისა თუ დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოუცხადებლად ცენტრი ვერ შეძლებს გააფორმოს ჩვენთან ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება, რადგან შეუძლებელი იქნება ასეთი ხელშეკრულების სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობით კავშირად წარმოჩენა საერთაშორისო პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი აზრის წინაშე. მიგვაჩნია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია უნდა გამოცხადდეს მხოლოდ შესაბამისი საგარეო პოლიტიკური სიტუაციის შემზადების შემდეგ, რათა დამოუკიდებლობის დეკლარაციას მოჰყვეს საქართველოს აღიარება საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

მსოფლიოში დღეს არსებული პოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საერთაშორისო ორგანიზაციებმა საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ შეიძლება სცნონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი აღარ (ან ვეღარ) იქნება ამ აღიარების კატეგორიული წინააღმდეგი და საქართველოშიც შესაბამისი სტაბილური საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ეკონომიკური სიტუაცია იარსებებს. რა პოლიტიკური სვლები უნდა გააკეთოს საქართველომ, კერძოდ კი მისმა ახალმა უზენაესმა საბჭომ, გარდამავალ პერიოდში, რათა კრემლი ველარ აღუდგეს წინ მის ბუნებრივ სწრაფვას ღვთითბოძებული თავისუფლებისაკენ? ამ კონტექსტში თვით მშვიდობის დარგში ნობელის პრემიით მიხეილ გორბაჩოვის დაჯილდოება უნდა განვიხილოთ არა როგორც 9 აპრილის ერთ-ერთი ავტორის დაჯილდოება ყველაზე საპატიო მსოფლიო პრემიით (თუმცა ცხადია, ძნელია ქართველისათვის სხვაგვარად ფიქრი), არამედ, როგორც უკვე აშკარად დამსახურებულ ქმედებათა მსოფლიო აღიარებასთან ერთად მისდამი ავანსად გაცემული უმაღლესი პატივიც. დღეიდან მსოფლიო მიხეილ გორბაჩოვსა და მის პოლიტიკას კიდევ უფრო მეტს მოთხოვს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა — მშვიდობის, სიკეთის, სამართლიანობის და თავისუფლების უზენაესობის პრინციპის რეალურად შესრულებისათვის. ნობელის პრემიის ლაურეატი კი უკვე ვალდებულია, ეს მოთხოვნები დააკმაყოფილოს. ვფიქრობთ, ამ უმნიშვნელოვანეს ფსიქოლოგიურ მომენტსაც ითვალისწინებდა შვედეთის სამეფო აკადემია, ნორვეგიის პარლამენტის მიერ დანიშნული ნობელის კომიტეტი და მსოფლიო პოლიტიკური აზრი მიხეილ გორბაჩოვისათვის ნობელის პრემიის მინიჭების დროს. ასე რომ, ისევე, როგორც ყველას, ამ მედალსაც ორი მხარე აქვს — პოზიტიური და ნეგატიური, ჩვენც სწორედ პოზიტიურის გამოყენება და მოქმედებისას მისი გათვალისწინება გვმართებს, რადგან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნეგატიურის ზედმეტი წარმოჩინებითა და აფიშირებით რეალობას ვერ შევცვლით.

გარდამავალ პერიოდში საქართველომ უნდა შეიძინოს თავისი რეალური მდგომარეობის შესაბამისი პოლიტიკური სტატუსი. ერთა ლიგისა და თვით რსფსრ-ს მიერ 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით დამოუკიდებელ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ ცნობილი საქართველო ბოლშევიკური რუსეთის 1921 წლის შეიარაღებული აგრესიისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად დღეს სრულიად უკანონოდ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაშია. ამიტომ მიგვაჩნია, რომ გარდამავალი პერი-

(დასასრული მე-7 გვ.)

# რა ხდება სამაჩაბლოში?...

**საქართველოს მოსახლეობა, ქართველი ერი მეტად საპასუხისმგებლო, გადამწყვეტი არჩევანისთვის ემზადება. მღელვარებას და მოლოდინს მოუცავს სრულიად საქართველო. არჩევნების დროს საქართველოს იწვევიან უცხოელი ექსპერტები.**

**ამ დროს რა ხდება საქართველოს ძირძველ მიწაზე, სამაჩაბლოში? კვლავ უხეშად ილახება მკვიდრი მოსახლეობის — ქართველების — ინტერესები. ოსი ექსტრემისტები კვლავ ტვინს ურევენ თავის ხალხს და მოუწოდებენ დესტაბილიზაციისაკენ, ქართველთა დისკრიმინაციისაკენ. საქართველოს ტერიტორიაზე აცხადებენ რაღაც „ოსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას“(!), ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებს არსებული ხელისუფლება. ექსტრემისტები იმუქრებიან, რომ სისხლი დაიღვრება, თუ ერთი საარჩევნო უბანი მაინც დაიდგმება სამაჩაბლოს ტერიტორიაზე. და ეს ყველაფერი ხდება საქართველოში პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ. ვინ არიან წამქეზებლები, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს.**

**თავხედობასაც თავისი საზღვარი აქვს... თუმცა, „თავხედობა“ ამ შემთხვევაში ზედმეტად რბილი სიტყვაა.**

## ზოგი რამ წარსულიდან

### თრუსოს შესახებ

**ზახის** მთის აღმოსავლეთით მდებარეობს თრუსო, შემოზღუდული აღმოსავლეთიდან შთასავალამდე მიმავალი ხოხის ხევის ყელის შტოთი, ჩრდილოეთიდან მყინვარითა (ყაზბეგით) და ხოხის კავკასიონით და დასავლეთიდან თრუსო-ზახის შუამთით. თრუსო საში მდინარის ხეობად იყოფა. ერთი მდინარეთაგანი გამოდის ზახის-მთიდან, მეორე მაღრან-დვალეთის კავკასიონიდან და მესამე ხოხის კავკასიონიდან. ამ უკანასკნელ ხეობაში, ხოხის მხარეს არის ღვთისმშობლის სახელზე აგებული მცირე ეკლესია. ამ ხეობებში სულ რვა სოფელია და ყველა ხეობა მაღრან-დვალეთთან ერთად შეადგენს დვალეთს. დვალეთელები არიან აგრეთვე დიდი ლიახვის, ქსნის ხეობის, კუდაროს მოსახლენი. ყველანი აღნიშნულ ადგილებში დვალეთიდან გადასახლდნენ და აქვთ დვალეთელების მსგავსი რელიგია, ჩვეულებები. დვალეთი აღმოსავლეთიდან ესაზღვრება მთებს თრუსოსა და ხევს შორის, სამხრეთიდან — მაღრან-დვალეთის, ბრუტსაბძელის, ზეკარისა და კედელის კავკასიონს, ჩრდილოეთიდან ხოხის კავკასიონს და დასავლეთიდან კავკასიონის კედელს, რაჭას, გლოლას შორის მდებარე დიგორიამდე მიმავალ შტოს — ჩერქეზის მთის ქედს. ჩმის, თაგაურის, ქურთაულის, ვალაგირის, ფაი-ქომის და დვალეთის ყველა მდინარე ერთვის ლომევს (თერგს).

გაზ. „Терские ведомости“, 1911, №105

### მკვიდრებს შორის, ოსებთან

ცხინვალისა და მახლობელი სოფლების — დგვრისის, ტბეთისა და კვერნეთის ოსებმა საქართველოს ეგზარხოსს მიართვეს თხოვნა ცხინვალში განსაკუთრებული ოსური საწყალის გახსნისა და უწმინდესი სინოდის სახსრებიდან ეკლესიის აგების თანხის გამოყოფის შესახებ. ცხინვალი უკანასკნელ დრომდე დასახლებული იყო სამი ხალხის — ქართველების, სომხებისა და ებრაელების წარმომადგენლებით. 20–25 წლის წინ აქ ოსთა 3–4 ოჯახზე მეტი არ ცხოვრობდა. დღეს კი ცხინვალში მუდამ მოსახლე ოსთა ოჯახების რაოდენობა ორმოცდაათს აჭარბებს. ამდენივე ვაჭრობითა და სხვა სარეწებით დაკავებული დროებითი მოსახლეა.

ოსებს ცხინვალი იზიდავს როგორც ცენტრი, სადაც რადიუსებად თავს იყრის მთის ოსეთის ყველა ხეობა. აქ საღდება ცხინვალისა და მთიანი ოსეთის უბნების მოსახლეობის მეურნეობის თითქმის ყველა პროდუქტი. აქვე იძენენ ყოველივეს, რაც აუცილებელია ამ მოსახლეობის საოჯახო მეურნეობისათვის. ამდენად სავსებით გასაგებია ოსების სწრაფვა ცხინვალისაკენ და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ახლო მომავალში ოსების რაოდენობა ამ დასახლებაში კიდევ უფრო მოიმატებს. ოსური მოსახლეობის ზრდაზე იმოქმედებს უახლოეს დროში უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გახსნა...

გაზ. „თერგი“, 1914, №4889 (რუს. ენაზე)

●

**ისე აგიხდეთ ყველა სასიკეთო სურვილი, ქართველებო, როგორც ახდა გაზ. „თერგის“ კორესპონდენტის წინასწარმეტყველება. ოსებმა იმდენად იმატეს ცხინვალში და მათმა მნიშვნელოვანმა ნაწილმა (უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველთა საკმარისად მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად) იმდენად იაქტიურა კავკასიაში ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება-განმტკიცების საქმეში, რომ ერთობლივი ძალისხმევით აგერ „სამხრეთ ოსეთის“ დედაქალაქადაც კი გადააქციეს ცხინვალი, ხოლო მკვიდრ ქართველთა შთამომავლებს უმწვავეს დღევანდელ საზრუნავად ეროვნული და პიროვნული უფლებების დაცვა გაუხდეს. ეს უკვე ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ ცნობები თრუსოზე და ცხინვალზე ჩვენ მოვიტანეთ კრებულიდან „კავკასიის პერიოდული პრესა ოსეთისა და ოსების შესახებ“ (IV ნაკვეთი, 1989 წ. გვ. 262 და 814–815), რომელიც შეადგინა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ლ. ა. ჩიბიროვმა და დასტამბა ცხინვალის გამომცემლობა „ირისთონმა“. მაშ, 1914 წ. ცხინვალში მუდმივად ოსთა სულ ორმოცდაათიოდე ოჯახი ცხოვრობდა, დღეს ოსეთია, თრუსოში (დღევანდელი ყაზბეგის რაიონი) გაოსებული დვალები ცხოვრობდნენ, დღეს იქ მუდმივი მოსახლეობა არაა (აწ უკვე ვლადიკავკაზელები მხოლოდ საზაფხულო აგარაკებად იყენებენ წინაპართა დანატოვარ სახლებს) და ეს მხარეც, მიუხედავად ამისა, კრებულის შემდგენლის აზრით, ოსეთია. ცხოვრობენ ოსები — ოსეთია, არ ცხოვრობენ ოსები — ოსეთია. თითქოს ლოგიკა არა აქვს ამ პოზიციას, მაგრამ ლოგიკას ვინ დაგიდევს. თეორია ერთია, ცხოვრება კი — მეორე. რუსული გაზეთის კორესპონდენტის აზრით, ოსი იქ ცხოვრებს, სადაც უკეთ ეცხოვრება. ჩიბიროვის აზრით კი ის ადგილი, სადაც ოსს უკეთ ეცხოვრება — ოსეთია. ოსები, როგორც ჩანს, კარგად ცხოვრობენ კახეთშიც, ქართლის სხვა მხარეებშიც. ჩვენ კი შექმნილ ვითარებაში ლოდინიღა დაგვრჩენია?!**

# ზვიად გამსახურდიას

# გამოსვლა

## საქართველოს ტელევიზიით

**ძვირფასო მეგობრებო!**

საქართველოს უზენაესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს მრგვალი მაგიდის ამომრჩევლებთან შეხვედრებს აქვს ერთგვარი საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ფორმაც. ჩვენთვის უკვე გამოიკვეთა ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც ფიქრობს ჩვენი საზოგადოებრიობა, ჩვენი ხალხი, რაც აღელვებს მოსახლეობას ჩვენს გეგმებთან დაკავშირებით.

ამჯერად მე მინდა გავცე პასუხი ზოგიერთ კითხვას, რომელიც ებადება ჩვენს მოსახლეობას იმ იდეებთან დაკავშირებით, რომელსაც მივყვებით ჩვენ და საერთოდ ოპოზიციური მოძრაობა.

არ არის დასამალი, რომ ოპოზიციის მონაწილეობა არჩევნებში მოსახლეობის არაერთგვაროვან რეაქციას, არაერთგვაროვან დამოკიდებულებას იწვევს, რის გამოც მინდა განვმარტო ზოგიერთი საკითხი.

არც ისაა დასამალი, რომ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარეობს ძლიერი დეზინფორმაციის კამპანია ჩვენს პოზიციასთან დაკავშირებით, ჩვენს შეხედულებებთან დაკავშირებით, ჩვენს მომავალ მიზნებთან და გეგმებთან დაკავშირებით. ამიტომ ყოველივე ეს საჭიროებს განმარტებას.

მე მაქვს ტიპიური შეკითხვები, რომელსაც მისვამენ სხვადასხვა რაიონებში მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები.

ეს შეკითხვები ძირითადად დაიყვანება შემდეგზე: პირველი და უმთავრესი, რაც აწუხებს მოსახლეობას, ეს არის **დამოუკიდებლობის** საკითხი. როგორი იქნება საქართველო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში. ემუქრება თუ არა მას მუსულმანური სამყაროს მხრივ რაიმე საფრთხე, ასეთ შემთხვევაში როგორი ქნება თავდაცვისუნარიანობა საქართველოსი, რაც ბუნებრივია აწუხებს მოსახლეობას, ჩვენს საზოგადოებრიობას. ამაზე ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ **საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება არ მოხდება, ვიდრე საქართველო არ გახდება სამხედრო თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანა, ვიდრე მას არ ეყოლება ძლიერი ეროვნული არმია, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი, ვიდრე მას არ ექნება გარანტიები მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან სამხედრო კავშირის დადებისა და ვიდრე ყოველივე ამას არ ექნება სამართლებრივი საფუძველი საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.** ასე, რომ წარმოდგენა იმისა, თითქოს ჩვენ არ ვფიქრობთ მომავალზე, არ ვზრუნავთ საქართველოს თავდაცვისუნარიანობაზე, დიდი შეცდომაა.

ამასთან, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი **ოპონენტების** აზრით, საქართველოში **ყოვლად გაუმართლებელია და შეუძლებელი დემოკრატიული არჩევნების ჩატარება**, ვინაიდან აქ დგას საოკუპაციო ჯარი. ესეც მიგვაჩნია შეცდომად, ვინაიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში დღემდე დგას საბჭოთა საოკუპაციო ჯარი, აგრეთვე დასავლეთ გერმანიაში, სადაც **დგას დასავლეთის ქვეყნების საოკუპაციო ჯარი — მუდამ ტარდებოდა დემოკრატიული არჩევნები** და როგორც მოგეხსენებათ, იგივე მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. სხვა საკითხია ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია. ჩვენ უნდა **გავნასხვავოთ** ურთიერთისაგან **ოკუპაციისა** და **ანექსიის ცნებები.** საოკუპაციო ჯარი შეიძლება იდგეს ქვეყანაში, მაგრამ ის არ იყოს ანექსირებული ქვეყანა. შეიძლება მოხდეს ანექსიის შედეგების ლიკვიდაცია. თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს ამ არჩევნებში, გამოცხადდება გარდამავალი პერიოდი. გარდამავალი პერიოდი იქნება სწორედ ლიკვიდაცია ანექსიის შედეგებისა, ე. ი. საქართველოს გამოყვანა იმპერიის ცენტრის დაქვემდებარებიდან, დაიწყება დემონტაჟი საბჭოთა სტრუქტურებისა, ახალი ეროვნული მმართველობის შექმნა საქართველოში. აი, ეს არის გარდამავალი პერიოდის არსი და მე მგონი, ჩვენი პროგრამა ამით განსხვავდება სხვა ბლოკების პროგრამებისაგან. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ **გარდამავალ პერიოდს** და გარდამავალი პერიოდის სტრუქტურების ჩამოყალიბებას.

ჩვენი თვალსაზრისით, დამოუკიდებლობის გამოცხადება, როგორც ასეთი, გარდამავალ პერიოდში არ მოხდება, ვინაიდან ამას სჭირდება დიდი შემზადება და ამ შემზადების ზოგიერთ დეტალებზეც მოგახსენებთ.

მოსახლეობას აწუხებს, მომავალში, ახალი პარლამენტის შექმნის შემთხვევაში, როგორი იქნება **კომუნისტებისადმი დამოკიდებულება**, როგორი იქნება დამოკიდებულება ქონებრივ საკითხთან. აი, მაგალითად, გვაძლევენ ასეთ შეკითხვას: მოსახლეობის დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ასე თუ ისე მოიწყო ცხოვრება, მათ აინტერესებთ ახალი პარლამენტი გადასინჯავს თუ არა მათ კუთვნილებათა სამართლიანობას, ჩამოართმევს თუ არა ქონებას. ეს ყოვლად გაუმართლებელი ეჭვია, მეგობრებო, ჩვენ არავითარი ქონებრიობის საკითხის განხილვას ამ თვალსაზრისით არ ვაპირებთ, ერთადერთი, რასაც ჩვენ **მოვითხოვთ, ეს არის მთავრობის, ხელისუფლების უსამართლო პრივილეგიების მოსპობა.**

ახალი პარლამენტი, თუ იქ ოპოზიცია გაიმარჯვებს, ჩვენი მოსახლეობის ქონებას არ შეეხება. ასევე არ შეეხება იგი პენსიებს, სოცუზრუნველყოფას. არის აგრეთვე შიში, თითქოს მომავალი პარლამენტი გააუქმებს იმ პენსიებს, რომლებიც არსებობს სამხედრო მოსამსახურეებისათვის და სხვა. ესეც ყოვლად გაუმართლებელი ეჭვებია და არ დავმალავ იმას, რომ დეზინფორმაციის აპარატი, რომელიც ჩვენ გვებრძვის, ყოველივე ამას ავრცელებს მთელ საქართველოში.

აი, მაგალითად: ჩვენ ჩავედით კახეთში, იქ გაუვრცელებიათ ხმა, თითქოს ჩვენ ვაფრთხილებთ მოსახლეობას, არ ჩაატარონ რთველი ჩვენს გარეშე; თითქოს ჩვენ მოვუწოდებთ აჭარის გლეხობას, არ გაიტანონ ციტრუსები რუსეთში და სხვა. აი, ამგვარი დეზინფორმაციით სურთ დააშინონ მოსახლეობა. თითქოს ოპოზიციას განზრახული აქვს საშინელი, დრაკონული ზომების განხორციელება და სურთ აუმხედრონ ხალხი ამ არჩევნებს.

შემდგომი საკითხი, რომელიც აღელვებს მოსახლეობას, ეს არის:

**მიწის საკითხი,**

**კერძო საკუთრების საკითხი,**

**არაქართველი მოსახლეობის საკითხი** და ამაზედაც შევეცდები მოკლედ ვისაუბრო.

**მიწის საკითხი** ჩვენს მიერ გაგებულია, უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაციონალიზაციისა და პრივატიზაციის თვალსაზრისით, ე. ი. საქართველოს მიწა, წყალი, ჰაერი, წიაღისეული უნდა გამოცხადდეს ეროვნულ საკუთრებად უკვე გარდამავალ პერიოდშივე და მოხდეს მიწის კერძო საკუთრებაში / გადაცემა გლეხობისათვის. ოღონდ ჩვენი თვალსაზრისია, რომ ეს უნდა იყოს გასხვისების უფლების გარეშე. მიწის განაწილება უნდა მოხდეს მუნიციპალური არჩევნების ჩატარების შემდეგ, როდესაც სოფლად იქნება ახალი მმართველობა, უკვე ეროვნული მმართველობა, არჩეული მმართველობა, სადაც აღარ იქნება კომუნისტური დიქტატურა და მიწის განაწილების სამართლიანობას გააკონტროლებენ ადგილობრივი და საკანონმდებლო კომისიები.

კანონი მიწის შესახებ, რასაკვირველია, იქნება შემუშავებული და [illegible] კონკრეტული განაწილება მიწისა მოხდება გლეხობის ინტერესებიდან გამომდინარე. მიწას მიიღებენ მხოლოდ საქართველოს მოქალაქენი.

შემდეგი საკითხი, რაც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, ეს **საკუთრების** საკითხია. „მრგვალი მაგიდის“ ეკონომიკური პროგრამა ემყარება საკუთრების ყოველგვარი ფორმების დაკანონებას, მათ შორის კერძო საკუთრებისაც. კერძო საკუთრება იქნება დაკანონებული ისევე, როგორც საკუთრების სხვა ფორმები. ჩვენს ეკონომიკურ პროგრამაში ძირითადი აქცენტი გადატანილია თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, საბაზრო მექანიზმების შექმნაზე, რასაკვირველია, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური ეკონომიკისაგან განთავისუფლების მოთხოვნებით. და საერთოდ ეკონომიკური რეფორმა ერთ-ერთი უმთავრესია. მიუხედავად იმისა, რომ თავად ეკონომისტები არა ვართ, ჩვენ გვყავს ეკონომისტ-ექსპერტების ძლიერი ჯგუფი, რომელიც ამ პროგრამას ამუშავებს.

შემდეგი საკითხი, რომელზედაც მრავალ შეკითხვას გვისვამენ, არის ჩვენი დამოკიდებულება **არაქართველ მოსახლეობასთან.** ჩვენ არა ერთხელ განგვიცხადებია, რომ არ მოვითხოვთ არაქართველთა გასახლებას საქართველოდან, როგორც ამას ზოგიერთი მოგვაწერს, არ მოვითხოვთ მათ დისკრიმინაციას, დევნას. ჩვენ მოვითხოვთ თანასწორუფლებიანობას. ამჟამად არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ქართველი მოსახლეობა ბევრ რაიონში დისკრიმინირებულია, იჩაგრება, ჩვენ მოვითხოვთ მხოლოდ უფლებათა გათანაბრებას, ქართველთა დისკრიმინაციის შეწყვეტას და ამავე დროს, რასაკვირველია, **არაქართველი ეროვნული უმცირესობების უფლებათა დაკანონებას.** ასეთია ჩვენი პოზიცია არაქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობის საკითხში.

ხშირად გვეკითხებიან ჩვენს დამოკიდებულებაზე ე. წ. **თურქი მესხების** პრობლემასთან. არაერთხელ განგვიცხადებია, რომ საქართველოს მოქალაქეობის სტატუსი, რომელიც პირველ რიგში უნდა შემოიღოს პარლამენტმა, იქნება გარანტია იმისა, რომ **უცხო მოსახლეობა მხოლოდ მოქალაქეობის მიღების შემთხვევაში დაიშვება საქართველოს ტერიტორიაზე. ეს ეხება არა მხოლოდ ე. წ. თურქ მესხებს, არამედ ნებისმიერ სხვა უცხო ერს.**

დიდად აწუხებს მოსახლეობას **დამნაშავეობის ზრდის პრობლემა.** ჩვენი თვალსაზრისით, ყოველივე ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს არ ჰყავს **ეროვნული მთავრობა.** არ ჰყავს ავტორიტეტული ხელისუფლება და არ ჰყავს ეროვნული არმია, ახალგაზრდობა, სამწუხაროდ, ეროვნულ არმიაში ვერ მსახურობს, საოკუპაციო ჯარში გაწვევა ჩვენს მიერ თითქმის მთლიანად ჩაშლილია, ხოლო ეროვნული არმიის უქონლობა ერთ-ერთი ფაქტორია დამნაშავეობის ზრდისა, ახალგაზრდობის დაკავება, დასაქმება ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემაა. ამავე დროს დამნაშავეობა ჩვენ მიგვაჩნია სოციალურ პრობლემად. რასაკვირველია, სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, ჩვენი აზრით, აღმოფხვრის დამნაშავეობას მომავალ თავისუფალ საქართველოში. ხშირია საუბრები იმაზე, თითქოს მომავალში არის **საფრთხე ოპოზიციის მხრივ დიქტატური მეთოდების გამოყენებისა, რასაც არავითარი საფუძველი არ გააჩნია. როგორც წელან მოგახსენეთ, ეს ყოველივე არის პროპაგანდისტული კამპანიის შედეგი, რომელიც მიმდინარეობს ჩვენს წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მოსახლეობის დაშინებას.** ხშირია აგრეთვე შეკითხვები რადიკალური აქციების შესახებ, რომლებიც ჩვენ ჩავატარეთ საქართველოში, კერძოდ, სამტრედიის აქციის შესახებ. თითქოს სამტრედიის აქციამ ძალიან დიდი ზარალი მიაყენა საქართველოს ეკონომიკას. ეს ხრ გახლავთ მართალი, **სამტრედიის აქციამ მინიმალური ზარალი მოუტანა საქართველოს ეკონომიკას, ვინაიდან ტვირთის 90% იმჟამად სამტრედიის რკინიგზის კვანძზე საქართველოს არ ეკუთვნოდა.** გარდა ამისა, სამტრედიის აქციამ გადაწყვიტა მომავალი დემოკრატიული, მრავალპარტიული არჩევნების ბედი საქართველოში. **ამ აქციის გარეშე** ეს არჩევნები არ დაინიშნებოდა და დემოკრატიული, **მრავალპარტიული საარჩევნო კანონი არ დამტკიცდებოდა, ვინაიდან კომუნისტური ხელისუფლება ამ კანონის წინააღმდეგი იყო.**

ახლა ჩვენი დამოკიდებულების შესახებ კომპარტიასთან: ვრცელდება დეზინფორმაცია, თითქოს ჩვენ გვაქვს ძალზე აგრესიული ზრახვები კომუნისტების მიმართ, **თითქოს კომპარტია ჩვენს მიერ მტრადაა გამოცხადებული და ა. შ...** ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ ვუპირისპირდებით და ვებრძვით ცალკეულ ფუნქციონერებს, მაგრამ მთლიანად კომპარტიის მასაზე ეს არ ითქმის, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ კომპარტიაში უმრავლესობა შესულია არა იდეური მოსაზრებებით, არამედ ცხოვრების ცუდი პირობების შედეგად; ასე რომ, ჩვენ ამ დიდ მასას არ ვთვლით ჩვენს მტრად, პირიქით, მივესალმებით

(დასასრული მე-8 გვ.)

# დეპუტატობის კანდიდატები მოგვმართავენ



**თემურ ქორიძე**

ცოტაც და, ბოლო მოეღება ქართველთა ორასწლოვან მარტვილობას. შორს არაა ის დ… როდესაც თავისუფლება შვებით ამოისუნთქა… დამოუკიდებელ საქართველოში. ამის მისახვედ… სულაც არაა აუცილებელი წინასწარმეტყველის სიბრძნე და მისნური გამჭრიახობა. ჩვენ, ყვე… ისტორიულ მოვლენათა მონაწილენი ვართ და ამდენად, ახლა უკვე თვით ისტორია გვთავაზობ… ნეტარი თავისუფლების ერთგულ მხედრობას.

ისტორიის ღალატი კი შეუძლებელია. ეს ნიშნავს უკუღმართ გზაზე შედგომას, თვითუარყოფას და თვითგანადგურებას.

ამჟამად, როგორც იტყვიან, „დრო ჩვენს სასარგებლოდ მუშაობს“. მთავარია ჩვენვე არ… განვუდგეთ მას და დროულად განვთავისუფლ… ნაძალადევად თავსმოხვეულ შეგრძნებათაგან.

ჰეროსტრატეს ჟინი დამღუპველია. მძულვარებას მარტოოდენ ნგრევა ძალუძს. ზიზღით აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უხილ… დარღვეული და გავერანებული კი — რამდენი… გნებავთ... მხოლოდ სიყვარულს, ღვთისმოსაო… ამ უპირველეს მოციქულს, ხელეწიფება დაცემულის აღდგენა და დარღვეულის გამთლიანება. თავისუფლება ვერ დაიმკვიდრ… სიძულვილის გარემოში. მისი სამკვიდრო სიყვარულით აღსავსე გულია. ამიტომ თავდაპირველად გული უნდა განვიწმინდოთ, სული უნდა გავითავისუფლოთ და მხოლოდ ა… შემდგომ მივეახლებით თავისუფლებას.

აქვე უნდა დავსძინო, რომ თავისუფლებაა ერთადერთი გარანტი ჩვენი დაკარგული მეო… აღდგენისა. ესეც ანბანური ჭეშმარიტებაა. განვლილმა ათწლეულებმა კატასტროფულად გაგვიუცხოვა ჩვენივე მეობა, ფესვებს მოგვწყვი… და წყვდიადში გვახეტიალა. ახლა კვლავ უნდა აღვანთოთ ჩირაღდანი, რათა თვალნათლივ მიმოვიხილოთ შორეულ წარსულის სიმყუდროვეში დანთქმული უძვირფასესი საგანძური, წინაპართაგან დანატოვარი კულტურულ-ისტორიული ღირებულებანი. უნ… შევიგრძნოთ მათი ხიბლი და საკუთარ სულიერ გამოცდილებად ვაქციოთ ჭეშმარიტი დედააზ… ჩვენი არსობისა. ამგვარად გადავარჩენთ და შემოვინახავთ ჩვენს ქართველობას.

„დაინგრევა კოშკი რკინის,
ბრძოლის კოშკი აიგება“, —

ბრძანა პოეტმა. „რკინის კოშკი“ დღეს უკვე ისევე გაამტვერა ისტორიის ბედისწერამ, ვითარცა გლადიატორთა ორთაბრძოლის ცქერ… დაღლილი რომის იმპერია. „ბრძოლის კოშკის“ აგება კი ჩვენს ხელთაა. ღვთისმშობლის მადლცხებული საქართველო ხელახლა იბადება. დაე, ჩვენც ვიშვათ ხელმეორედ, აწ უკვე თავისუფლების ღირსეულ რაინდებად.



**…გო კორძაძე**

…რთველოს მომავალი პარლამენტი და …ობა ხალხს უნდა ემსახურებოდეს და არა …მთავრობასა და პარლამენტს, როგორც ეს …ის განმავლობაში იყო. ხალხის მიერ …ლი დეპუტატი ერის ინტერესებს, …ნულზე რომ არაფერი ვთქვათ, ყოველგვარ …ულ ინტერესებზე მაღლა უნდა აყენებდეს. …დამავალ პერიოდში დამოუკიდებელი …წიფოებრიობის საფუძვლების …ნელად საქართველოს პარლამენტს უდიდესი …მევა დასჭირდება. ამისათვის აუცილებელია …ული სტრუქტურებიდან ქვეყნის …ლ-პოლიტიკური და ეკონომიკური …ების თანდათანობითი, ეტაპობრივი …თავისუფლება. მაგრამ ეს პროცესი არ …დაყოვნდეს, ქართველი ერი მოუთმენლად …26 მაისის ტოლფას დღეს.

…ტომ მომავალ პარლამენტს ცენტრთან …ისპირება უეჭველად მოუწევს. ჩვენ ვერ …მედებთ ერთი რუსული ანდაზის პრინციპით: …ევენ, ხიდე — გირტყამენ, გაიქეცი“. …იპოლიასთან ბრძოლაში მთელი ერის …გომა თავის მიერ არჩეული …მენტისადმი აუცილებელი იქნება. უნდა …ს ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, …წყოთ ყოველგვარი პირადული, …ეჭელია კონსენსუსი. წინააღმდეგ …ვევაში დავმარცხდებით და მიზანს ვერ …ევთ. საქართველოს დამოუკიდებლობის …ნა — აი, ამ წმინდა საქმეს უნდა …უროთ უპირველეს ყოვლისა.

…ვალისწინოთ ჩვენი ახლო წარსულის …დილება, საბჭოურ იმპერიაში შემავალ …ებში მომხდარი მოვლენები და …რულად ვიმოქმედოთ მიზნის მისაღწევად. …რომ მომავალ პარლამენტში ქართველი …არა პიროვნული ან პოლიტიკური …ების დასაკმაყოფილებლად, არამედ …ოლველად უნდა მიილტვოდეს.

**გურამ პეტრიაშვილი**

ამბობენ, ერთხელ ბრძენიც შეცდებაო, ოღონდ, მხოლოდ ერთხელ!

თუ ბრძენი ხარ, მეორედ აღარ უნდა შეცდე.

ქართველი ხალხი ბრძენია.

და ეს ბრძენი ერთხელ უკვე შეცდა, როცა დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტი სოციალ-დემოკრატებს ჩაუგდო ხელში.

სოციალ-დემოკრატები მანამდე ილიას ებრძოდნენ. რა ქართველი ერი, რის საქართველოო და „მსოფლიო“ იდეებს აფრიალებდნენ.

ასეთი ადამიანებით სავსე პარლამენტი რომ ხეირს არ დააყრიდა საქართველოს, ამას რაღა უნდა ლაპარაკი.

ახლა მეორედ არ უნდა შეცდეს ბრძენი ქართველი ხალხი.

მან მხარი არ უნდა დაუჭიროს ამ არჩევნებში კომუნისტურ პარტიას და ამ პარტიის შენიღბულ მოკავშირეებს.

როგორც მაშინდელი სოციალ-დემოკრატები, ასევე თანამედროვე კომუნისტები რუსულ საბჭოთა იმპერიასთან სისხლ-ხორცეულად არიან დაკავშირებული და უმისოდ არსებობა ვერ წარმოუდგენიათ.

კომუნისტური პარტია არის ის იარაღი, რომლითაც საქართველო ხელახლა დაიპყრო რუსულმა იმპერიამ 1921 წელს და რომლითაც ჰყავს აქამდე დაპყრობილი.

წინასაარჩევნო პროგრამაში კომუნისტები თვალთმაქცურად კი ჩაწერენ, საქართველოს დამოუკიდებლობა გვინდაო, ზოგი თავისი პარტიის მანდატსაც დააგდებს და ახალ ორგანიზაციას ჩამოაყალიბებს, მაგრამ თავს ვერ გაექცევიან.

ფსიქოლოგიიდან ცნობილია, რომ თავის არსს ადამიანი იმაში კი არ ამჟღავნებს, რასაც გააზრებულად განაცხადებს, არამედ იმაში, რაც უნებლიედ წამოსცდება ხოლმე.

ასე წამოსცდა კომპარტიის შენიღბულ უმანდატო რაზმს, ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირს, და პრესაში პირველივე გამოჩენისას საბჭოთა იმპერიაზე თქვა — „ჩვენი ქვეყანაო“.

ამ კავშირში მოტყუებით შეყვანილ ზოგიერთ გულუბრყვილო ინტელიგენტს, ალბათ, მართლაც ჰგონია, რომ თანხმობა და აღორძინება კავშირის დამაარსებელთა მიზანია. უფრო მეტსაც ვიტყვი, შეიძლება დამაარსებლებმაც დააჯერეს თავისი თავი, საქართველოს დამოუკიდებლობა გვინდაო.

მაგრამ როგორც დიდი შოთა ამბობს: „ავსა კარგით ვერვინ შესცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს“.

მანდატის დაგდებით კომპარტიის რიგებიდან კი გახვალ, მაგრამ კომუნისტობას უცებ ვერ ამოირეცხავ გულიდან.

კომპარტიის უბრალო წევრი უბრალოდვე გავა ამ პარტიიდან, მაგრამ ვინც ორმოცი და ორმოცდაათი წელი ფუნქციონერობდა, ვინც კომუნისტურ სავარძელსა და შავ „ვოლგას“ მიეზარდა, იმას რაღა შესცვლის.

ჰოდა, ამათ მინდა ვუთხრა:

დააგდეთ მანდატი, თუ ჯერ არ დაგიგდიათ. თქვენი სისხლის ყოველ ბურთულაში ისე მტკიცედ ჩაბეჭდა ვარსკვლავიანი ნამგალი და ჩაქუჩი თქვენმა კომუნისტურმა ცხოვრებამ, რომ ამოშლას ათეული წლები დასჭირდება.

ყველაზე კარგი, რაც თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ, ის იქნება, თუ მონანიებას იმ საქციელსაც მოაყოლებთ, რაც უნდა მოაყოლოთ, თუკი მართლაც ქრისტიანებად ხართ უკვე მოქცეულნი.

პოლიტიკიდან განდგომა — აი, სწორი საქციელი თქვენთვის.

განდგომა და სხვისთვის ადგილის დათმობა.

უბრალოდ გეტყვით:

მანდატიანო და ახლახანსმანდატგადაგდებულო კომუნისტებო, მიდექით გვერდზე!

**მინაწერი:**

ფუნქციონერი კომუნისტები რომ ვერ გამოსწორდებით, აი, ამის ნაღდი საბუთი.

ახლა კომპარტიიდან ბევრი გადის, ბრალიანიც და უბრალოც.

პრივილეგიებს დაჩვეულები, თქვენ პარტიიდან გასვლის დროსაც ჩაგრავთ პარტიის ჩვეულებრივ წევრებს. იმათ გასვლას კაციშვილი ვერ შეიტყობს ნათესავების გარდა, თქვენ კი პრესით, რადიოთი და ტელევიზიით ამცნობთ მთელ ქვეყანას. ამაყად გადმოგვძახით, ჩამოვირეცხეთ სიბინძურეო!

მართლა რომ შეცვლილიყავით, ჩუმად, მოკრძალებით შემოაღებდით ქართველებთან შემოსასვლელ კარს: შეიძლება შემოვიდეო?

ეჰ, არ გათეთრდების ყორანი.



**საარჩევნო ბ… № 12**

**მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არჩევანი



**გიორგი მარჯანიშვილი** — საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი საარჩევნო ბლოკიდან „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო". ცენჯს იყრის 53-ე საარჩევნო ოლქში (ქ. გურჯაანი).

**მამარდაშვილი** თუ გამსახურდია? — აი, ცრუ არჩევანი, რომლის წინაშეც დააყენა ჟურნალ-გაზეთების მკითხველი, ქართველობა თუ არაქართველობა მოსკოვში გამომავალმა გაზეთმა „მოსკოვსკიე ნოვოსტიმ". მამარდაშვილი ამ გაზეთში მეტად თავისებურ როლს ასრულებს, ვინმე ა. მიქაძე ხან რაღაცას ეკითხება მას და ხანაც დასაბეჭდად ამზადებს მის მონათხრობს. მამარდაშვილი კი საქართველოში მიმდინარე პროცესების „დამოუკიდებელ" კომენტატორად გვევლინება. 16 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ზ. გამსახურდიას, ე. გოგუაძის, გ. გუმბარიძის, ნ. ნათაძის და გ. ჭანტურიას მოსაზრებები, ხოლო შეფასებას მათ აძლევს მ. მამარდაშვილი (მასალები ა. მიქაძის მიერაა მომზადებული). ზ. გამსახურდიას, ე. გოგუაძის, გ. გუმბარიძისა და ნ. ნათაძის სიტყვები ნეიტრალურია, ანუ მათი მოსაზრებების ხასიათი ზოგადია. გ. ჭანტურია და მ. მამარდაშვილი კი გართულნი არიან ზ. გამსახურდიას ლანძღვით. „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პოზიციიდან, პუბლიკაციის ხასიათიდან გამომდინარე, ზ. გამსახურდიას, ე. გოგუაძის, გ. გუმბარიძის, ნ. ნათაძის და გ. ჭანტურიას როლი დაახლოებით ერთი და იგივეა, მ. მამარდაშვილი კი ავტორიტეტულ ექსპერტადაა გამოყვანილი. ამდენად, ძალას თუ გავითვალისწინებთ („მოსკოვსკიე ნოვოსტი" „პერესტროიკის" პოლიტიკის გამტარებელ ძალთა ყველაზე ხმაურიანი რუპორია), რეალურად საქმე გვაქვს გამსახურდია-მამარდაშვილის (?) დაპირისპირებასთან. არჩევანი სულაც არ გულისხმობს „სუვერენული" რესპუბლიკის პრეზიდენტის ტახტს, ვინაიდან მ. მამარდაშვილმა იცის, რომ ხალხი მას ხმას არ მისცემს, ხოლო გამსახურდიას არსად ოფიციალურად მსგავსი პრეტენზია არ განუცხადებია. აქ შეხედულებებთან გვაქვს საქმე. ამაში დასარწმუნებლად კი დავუბრუნდეთ ნახსენებ პუბლიკაციას, რომელსაც სათაურიც კი დამცინავი აქვს შერჩეული და ჰქვია „სახარება ქართულად".

შევადაროთ ერთმანეთს ზ. გამსახურდიასა და მ. მამარდაშვილის გამონათქვამები.

**ზვიად გამსახურდია:**

„კრიზისიდან ყველაზე რეალური გამოსავალი ეროვნული პარლამენტის საყოველთაო დემოკრატიული არჩევნებია. პარლამენტისა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ეროვნული მოძრაობის ჭეშმარიტი ლიდერებით. მხოლოდ ასეთ პარლამენტს ძალუძს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა. ჩვენ მზად ვართ, შევინარჩუნოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიები, მაგრამ არა აჭარისა, სადაც ადგილობრივი კომუნისტური მაფია ჩაბღაუჭებია თბილ ადგილებს.

მინდა განვაცხადო, რომ აფხაზებსა და ოსებს შეუნარჩუნდებათ ეროვნული ენების სტატუსი. ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ რესპუბლიკაში მცხოვრები სხვა ხალხების უფლებებიც. ვფიქრობთ, ისინი დაგვიჯერებენ. ჩემი დამოკიდებულება რუსეთისადმი უპირველესად მისი მომავლით განისაზღვრება. ჩვენ გვსურს ყველა მეზობელთან ნორმალური პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობა. ამასთან, ჩვენ კატეგორიულად წინააღმდეგნი ვართ ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისა, ვინაიდან ის იქცევა ჩვენი ხალხის დამონების მორიგ იარაღად. საქართველო არ მოიტყუებს თავს და აღსდგება ამის წინააღმდეგ".

**მერაბ მამარდაშვილი:**

„დღეს საქართველოს ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი წარმომადგენელი უარს ეუბნება რა სხვას საკუთარი თვალსაზრისის გამოთქმაზე, ცდილობს ცენზორი გახდეს. ჩემთვის გაუგებარია, თუ როგორ შეუძლიათ სამართალდამცველი მოძრაობიდან გამოსულ ადამიანებს სამოქალაქო უფლებების დარღვევა აქციონ სისტემურ მოვლენად; როგორ შეუძლია ადამიანს, რომელიც თავს მიაკუთვნებს ჰელსინკის მოძრაობას, არ ჰქონდეს წარმოდგენა ადამიანის უფლებებზე? აქ საქმე გვაქვს უცოდინარობასა და უწიგნურობასთან. სრულ ზნეობრივ დალტონიზმთან. თუ ამას არ ვიტყვით ხმამაღლა, ძალიან მალე იწვევა საქართველოს უბედურება. სოციოლოგიური გამოკვლევების თანახმად ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს სურს ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევა. თუ ეს მოხდება. მე მომიწევს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ წასვლა? მე არ მინდა ამის დაჯერება.

...ქართველები უნდა განთავისუფლდნენ გარედან თავს მოხვეული სახელმწიფოს პრიმატობის დამღუპველი და მისი ისტორიისათვის უცხო იდეისაგან.

დღეს ქართველი შოვინისტების მიერ ნაქადაგები საქართველოს სახელმწიფოებრიობის იდეა გაბატონებული კლასის იდეაა. გამოსავალს ვხედავ დამოუკიდებლობის გაფართოებაში ადგილობრივ დონეზე: საჭიროა მასწავლებლის, მოსამართლის, მერის ახალი სტატუსი; ქალაქის, დაბის, სოფლის თვითმმართველობა. პარლამენტი კი უნდა იყოს ასეთი მშენებლობის ორგანიზატორი და ადგილი, სადაც საკითხი დაისმება სამოქალაქო უფლებათა ყოველ დარღვევაზე..."

კმარა! თავი დავანებოთ მსოფლიოში სახელგანთქმული ბატონი პროფესორის მიერ გამოვლენილ ჭორიკნობის უბადლო ხელოვნებას და ყურადღება მივაპყროთ სხვაობებს შეხედულებათა შორის.

ერთმანეთს დაუპირისპირდა „უცოდინარი, უწიგნური, ზნეობრივი დალტონიკი" ზ. გამსახურდიას მიერ გამოთქმული იდეა დამოუკიდებელი საქართველოსი, დემოკრატიული ქვეყნისა, სადაც დაცული იქნება ეროვნულ უმცირესობათა უფლებები, ქვეყნისა, რომლის წარმომადგენლებმაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოაწერონ ხელი ახალ კაბალურ, მართლაც თავზე მოსახვევად გამზადებულ, სამოკავშირეო (თუ საკავშირო) ხელშეკრულებას და აზრი, რომ კრიზისიდან გამოსავალი მასწავლებლის ახალ სტატუსში და სოფლისა (ადგილობრივ) თვითმმართველობაშია საძიებელი.

აი, რა არჩევანი უნდა გააკეთოს საქართველომ.

არგუმენტაცია, ვგონებთ, ზედმეტი უნდა იყოს. თითისტოლა ქართველი ბავშვისთვისაა ცნობილი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობისაკენ მისწრაფება შეადგენდა საქართველოს ისტორიის შინაარსის ერთ-ერთ უმთავრეს მხარეს. ამას შეეწირა აფსირტე, ამას შესწირეს თავისი ცხოვრება იაკობ ცურტაველმა, იოანე საბანის ძემ, დავით აღმაშენებელმა, სულხან-საბა ორბელიანმა, ილია ჭავჭავაძემ... ამას შეეწირა მერაბ კოსტავა. ნამდვილ პროფესორ-აკადემიკოსებსაც, ვფიქრობ, მოეხსენებათ, რომ ნებისმიერი კავშირი უცხო სახელმწიფოსთან ეხვეოდა საქართველოს თავს, რუსეთთან კავშირი კი **უმცირესი ბოროტება** მაინც იყო. უმცირესი ბოროტება, რომელიც XIX საუკუნეში საქართველოს დაპყრობითა და სულიერი თუ ფიზიკური განადგურების გზით **უდიდეს ბოროტებად** თვით რუსეთმა და ჩვენმა შინაგანმა სისულელემ აქცია.

მ. მამარდაშვილი მრავალსაუკუნოვან ეროვნულ იდეალს უპირისპირებს სოციალურს, მასწავლებლის სტატუსსა და ადგილობრივ თვითმმართველობას. რა ნაცნობი მოტივებია! ეროვნული სახელმწიფოს იდეა გაბატონებული კლასის იდეაა, გვიკიჟინებს მამარდაშვილი. განა ამასვე არ გაჰკიოდნენ ის სოციალ-დემოკრატები, რომელთა მოღვაწეობამაც საქართველო საშველიშველო ცოდვამდე და სამოცდაათწლიან ტრაგედიამდე მიიყვანა? ილია ჭავჭავაძე ხომ იმიტომ იქნა მათ მიერ შემამული, ხალხის მტრად გამოცხადებული, მოსაკლავად იმიტომ იქნა განწირული, თითქოს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა განამტკიცებდა თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის „თარეშს". ილია მოკლეს **იმიტომ, რომ** სოციალური თანასწორობის იდეალურ სქემას ვერ მოარგეს საქართველოს სინამდვილე და გასწირეს საქართველო.

ახლა ადამიანის უფლებათა იდეალურ სქემას ვერ, თუ არ არგებენ ზოგიერთნი საქართველოს სინამდვილეს, ეჩქარებათ, ისევე, როგორც გარდასული ხანის სოციალ-დემოკრატებს და ამ სიჩქარისაგან გონდაკარგულნი სწირავენ საქართველოს.

გამოსავალი კი იქნება იდეალური სქემების განხორციელება სინამდვილის, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ორივე — ეროვნული და ზოგადდემოკრატიული — მოთხოვნების ჭრთობლიობით. არ უნდა დავამსხვრევინოთ სქემებს საქართველო იმიტომ, რომ თუ ეს კიდევ ერთხელ განმეორდა, ჩვენ შეიძლება საბოლოოდ ჩიხში მოვექცეთ, საბოლოოდ დავკარგოთ საქართველოს აღდგენა-გამოხსნის საშუალება.

უკვე გარკვეული ხანია „ტრიალებს" სსრკ განახლების სახაროვისეული პროექტი. ახლა გამოქვეყნდა სოლჟენიცინის ნაშრომი „როგორ მოვაწყოთ რუსეთი". უკანასკნელის აზრით, სსრკ უნდა დაიშალოს და დარჩეს ძირითადად რუსეთ-უკრაინა-ბელორუსიის გაერთიანება. თუ გორბაჩოვს მოვუსმენთ, გავიგონებთ სახაროვის პროექტის თავისებური დამცველის ხმას. ახლაც, სსრკ უზენაესი საბჭოს სესიაზე გამოსვლისას მან განაცხადა შემდეგი: „დეკლარაციული ეიფორია — ნუ მიწყენენ ისინი, ვინც მასში მონაწილეობდა, — საერთოდ მძლავრი იმპულსია ჩვენს მრავალეროვან სახელმწიფოში გარდაქმნების შემდგომი პროცესისათვის. მაგრამ ჩაიარა დეკლარაციებმა, ცხოვრება თავისი გზით მიდის. და მე ვხედავ, რომ ბაზარზე გადასვლის პროგრამის შემუშავების, სხვა საკითხთა განხილვის დროს გამოიკვეთა ასეთი სურათი: ადამიანები ხედავენ რეალობებს, ხედავენ, რომ ჩვენ შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ამ სიტუაციას და დავწინაურდეთ. არიან ისეთებიც, ვინც ცდილობს შემოაპაროს იდეა, რომელიც დესტრუქციულია როგორც ეკონომიკური, ისე, პოლიტიკური და ადამიანური პოზიციებიდან. აი, აქ სხედან მოლდაველი მეგობრები, ზოგიერთ მათგანს მე უკვე ვესაუბრე, გადამლაშებამ, ხარვეზებმა პოლიტიკაში გამოიწვია ის, რომ ახლა საფრთხე შეექმნა საერთოდ კომპაქტური, ერთობ დინამიკური, ინტეგრირებული, ურთიერთდაკავშირებული რესპუბლიკის მთლიანობას.

მოლდოვაში მიღებული დეკლარაციის გავლენით, რომელშიც არ ყოფილა განცხადება იმის შესახებ, რომ მოლდოვა საბჭოთა კავშირში რჩება და ლაპარაკია თანამეგობრობაზე, თუ რაღაც ასეთზე, დაიწყო რყევის, წუხილის და შეშფოთების გაძლიერების პროცესი. მე იმ დროს ყირიმში გახლდით და უამრავი დეპეშა მომდიოდა.

დარწმუნებით ვამბობ თქვენს წინაშე და მთელი ქვეყნის წინაშე, ეს იქნება დამღუპველი არჩევანი. აბა, აიღეთ თუნდაც ჩვენი თავდაცვა: ჩვენ რა, 15 ბირთვული სახელმწიფო უნდა გავაჩინოთ? ამის გაგონებაზე ხომ ჟრუანტელი უვლის მთელ მსოფლიო გაერთიანებას. ახლა ჩვენი საზოგადოების ყველა სფეროს გარდაქმნის სწორ გზაზე ვდგავართ. მაგრამ, როდესაც ამ გარდაქმნებს ვახორციელებთ, უნდა ვხედავდეთ მიჯნას, რომლის იქითაც იწყება რაღაც ისეთი, რასაც მერე ალარაფერი ეშველება.

ამიტომ მეათასედ მტკიცედ ვიმეორებ: დიახ, მე კავშირის მომხრე ვარ. სუვერენული სახელმწიფოების, ძალზე მჭიდროდ დაკავშირებული, მოთანამშრომლე სახელმწიფოების კავშირისა, რომლებსაც აქვთ თავიანთი ზუსტად განაწილებული უფლებამოსილებანი, ცენტრი და რესპუბლიკები, ეფექტიანად რომ მოქმედებენ" („კომუნისტი", 25 სექტემბერი).

კატეგორიულად უნდა განვაცხადოთ: მიუხედავად სოლჟენიცინის მიერ საქართველოში მიმდინარე პროცესების მეტად ტენდენციურად, არასწორად შეფასებისა, სიმართლე ზოგადად კვლავ მის და ზ. გამსახურდიას მხარეზეა, ისევე, როგორც ეს 1970-იან წლებში იყო.

სოლჟენიცინის წინააღმდეგ კი ბრძოლა უკვე გაჩაღებულია. 16 სექტემბერს მოსკოვში, მანეჟის მოედანზე ჩატარდა მიტინგი, რომლის უპირველესი მოთხოვნა არა თუ რიჟკოვის გადადგომა, არამედ საკავშირო მთავრობის გაუქმება და აღმასრულებელი ხელისუფლების მთელი სისრულით პრეზიდენტისათვის გადაცემა იყო (იხ. „არგუმენტი ი ფაქტი", № 38).

ეს საკითხი განხილული და, სამწუხაროდ, მიღებული იქნა სსრკ უზენაესი საბჭოს უკანასკნელ სესიაზე.

თუ დავუბრუნდებით იგივე „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პუბლიკაციას და ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ საქართველოს უზენაეს საბჭოსა და „ეროვნულ კონგრესში" არჩევნებში მონაწილე პირთაგან მხოლოდ ორი ადამიანი — ზ. გამსახურდია და ნ. ნათაძე — ამბობენ კატეგორიულ უარს ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, რომელიც წლის ბოლომდე (შესაძლოა ნოემბრამდე) უნდა დაიდოს და გავიხსენებთ აგრეთვე იმას, რომ შექმნილია (თუ უნდა შეიქმნას) საპრეზიდენტო კომისია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების საბოლოო ტექსტის შესამუშავებლად, ხადაც უნდა შევიდნენ მოკავშირე რესპუბლიკათა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეები, ცხადი გახდება, თუ ვისთვისაა ხელსაყრელი საქართველოში კამპანიის დაწყება ზ. გამსახურდიას „მოსალოდნელი დიქტატურის" წინააღმდეგ. ვისთვისაა ხელსაყრელი დუმილი იმ დრამაზე, რაც თამაშდება სსრკ უზენაესი საბჭოს მიმდინარე სესიაზე. მ. მამარდაშვილისა და მის თანამზრახველთა „აზრით" ხომ საქართველოსთვის გორბაჩოვის დიქტატურაზე უარესი გამსახურდიას „დიქტატურაა"! ეს კამპანია უებარი საშუალებაა იმისა, რომ მსოფლიოს ამცნონ სწორედ „დემოკრატიული" და არა ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის ძალა, ჩვენი ყურადღება ეროვნული პრობლემებიდან მხოლოდ სოციალურზე გადაიტანონ. კვლავ და კვლავ დაუპირისპირონ ერთმანეთს სოციუმის თანამედროვე მოდელი ეროვნულ მოთხოვნებს.

აჰაა პასუხი ბ-ნ გ. ჭანტურიას გაოცებულ შეკითხვაზე, თუ რატომ დგანან ადამიანები ზ. გამსახურდიას გვერდით. იმიტომ, რომ არ იდგნენ სოციალ-დემოკრატიზმის მემკვიდრე მ. მამარდაშვილისა და მის თანამოაზრეთა — ეროვნულ კონგრესსა და უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე ბლოკის — „დემოკრატიული საქართველოს" — გვერდით.

ვთხოვთ „მოსკოვსკიე ნოვოსტისა" და „მოლოდიოჟ გრუზიის" მკითხველებს, არ მიგვათვალონ მ. მამარდაშვილის „ხალხს". ის ჩვენს წინააღმდეგ ზ. გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი არ წავა, არამედ უკვე შელახა ჩვენი ინტერესები, როდესაც მოიქცა უკანასკნელი სოციალ-დემოკრატივით.

ჭეშმარიტება სამშობლოზე უფრო მაღლა დგასო, ბევრჯერ უბრძანებია ბ-ნ მ. მამარდაშვილს. ამის მთქმელი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იგი ფლობს ჭეშმარიტებას. მაგრამ თუნდაც თანამედროვე ლიბერალიზმის ენაზე ეს ხომ ნიშნავს იდეოლოგიურ დიქტატს. ნეტარ არიან მორწმუნენი! განსჯა კი მკითხველისათვის მიგვინდია.

**P. S.** „მოსკოვსკიე ნოვოსტი" — ვინ იცის, რამდენ ენაზე გამომავალი და საღდა არ მიმავალი გაზეთი... ქართველი ერის ნამდვილი გულშემატკივარი ხომ დაწერდა (თუ დაუბეჭდავდნენ), რომ ქართველებს ფაქტობრივად აკრძალული აქვთ მუშაობა აფხაზეთის დაწესებულებებში (ისტორიის, ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტში, ბიბლიოთეკებში, ძეგლთა დაცვის საზოგადოებაში, და სხვა და სხვა), რომ ქართველებს აღარ დაედგომებათ არც აფხაზეთში და აღარც „სამხრეთ ოსეთში", რომ ისპობა ისტორიული ძეგლები (მაგ. გ. შარვაშიძის საფლავი და თ. ჟორდანიას სახლი მოქვში), რომ ქართველ რესტავრატორებს ერეკებიან აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან", რომ შარშან ილორში აფხაზეთის ქართველებს თავს დაესხნენ მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველები იყვნენ და თავიანთ სამშობლოში ცხოვრობდნენ, რომ იგივე ხდება დღესაც შიდა ქართლის მთიან ნაწილში, რომ შექმნილია ისტორიის და თანამედროვე ვითარების გამყალბებელი სპეციალური დაწესებულებები, რომლებიც ქართველთა სიძულვილს უნერგავენ არაქართველ მოსახლეობას, რომ ანტიქართული მოძრაობის სულისჩამდგმელი, მომავალი ნახევრად დემოკრატიული არჩევნებითაც შემინებული ადგილობრივი პარტოკრატიაა, რომელსაც მხარს უჭერს როგორც სსრკ ხელისუფლება, ისე ა. სახაროვის წრე (25 სექტემბრის „ზარია ვოსტოკაში" გამოქვეყნდა ცნობა, რომ 22 სექტემბერს სსრკ უზენაესი საბჭოს დარბაზში შედგა ავტონომიური წარმონაქმნების წარმომადგენელთა სხდომა, რომელსაც უძღვებოდა რ. ნიშანოვი. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა „ცენტრის", როგორც ავტონომიურ და მოკავშირე რესპუბლიკათა „გამშველებლის" მომავალი სასიკეთო როლი. სხდომაზე გამოსულმა დელეგატებმა მხარი დაუჭირეს „სუვერენულ" რესპუბლიკათა კავშირის იდეას). აფხაზების ნამდვილი გულშემატკივარი ხომ იმასაც აღნიშნავდა, რომ აფხაზეთი არ მთავრდება მდინარე ფსოუსთან, რომ მუჰაჯირები გასახლებული იყვნენ ლოოდან, აშედან, ადლერიდან, სოჭიდან.

საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი ხომ დაწერდა „მოსკოვსკიე ნოვოსტიში", თუ რა უქნა რსფსრ-მ საქართველოს 1921 წელს. ხომ დაწერდა, თუ როგორ ირღვევა რუსეთის მიერ თურქეთისათვის ნაბოძები საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ ქართველთა და კავკასიელთა უფლებები. ქართველობისათვის როგორ მოკლეს ახმედ მელაძე... საქართველოს ნამდვილი გულშემატკივარი ხომ დაწერდა, თუ რა მდგომარეობაში არიან ინგილოები.

დაწერდა, რომ ახლაც ჩუმად, ხალხისაგან მალულად მოკავშირე რესპუბლიკებთან ხელშეკრულების გაფორმებით გუმბარიძემ ფაქტობრივად დაიწყო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების პროცესი.

მაგრამ ამას დაწერდა საქართველოს გულშემატკივარი და არა აბსტრაქტული სქემებით მოაზროვნე ადამიანი, ვინც ცოცხალი ადამიანის ნამდვილად სასიცოცხლო უფლებების დაცვაზე ამბობს უარს. ვერ უშველის მას მხოლოდ მასწავლებლისა თუ მოსამართლის სტატუსის გარკვევა და ადგილობრივი თვითმმართველობის შემოღება.

ეროვნული და პიროვნული უფლებების დაცვა განუყოფელი უნდა იყოს.

ეროვნული სახელმწიფოს აღდგენა, ლიბერალური ეკონომიკის დამკვიდრება, პიროვნების უფლებების პატივისცემა და დაცვა — ესაა ნამდვილი ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის შინაარსი.

ვაი, რომ მისი წარმომადგენლებისათვის ადგილი „მოსკოვსკიე ნოვოსტიში" არაა...

ხოლო რაც შეეხება ზნეობრივ დალტონიზმს, მ. მამარდაშვილმა გვითხრას, თუ რას წარმოადგენდა 1968 წელს გათელილ პრაღაში გამომავალი ჟურნალი „პრობლემი მირა ი სოციალიზმა" და რა დავალებებს ასრულებდა იგი ამ ოდიოზურ ჟურნალში თანამშრომლობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპლიკა

# გაღმა შეედავე...

გაზეთ „ქართული ფილმის" ბოლო ნომერში (№42, 17 ოქტომბერი, 1990) რუბრიკით „პოზიცია" დაიბეჭდა გრიგოლ ბიჩინაშვილის წერილი „თავად განსაჯეთ...". ვინც ამ პუბლიკაციას გაეცნო, უყოყმანოდ დაგვეთანხმება, რომ ავტორს დიდი წარმატებით აქვს გამოყენებული ბოლშევიკურ-კომკავშირული „ჟურნალისტიკის" მთელი არსენალი — ცილისწამება, ფალსიფიცირება, დაუნდობლობა...

ჩვენ არ შევეხებით ამ წერილის დაწერის საბაბს, ბატონი ზაალ კახიანის პიროვნებას, და არ შევუდგებით მის „დაცვას" (ამას ბატონი ზაალის კოლეგები, ალბათ, ჩვენზე უკეთ მოახერხებენ), რადგან მიზეზი, ცხადია, სულ სხვა არის, მიზანზე კი ორიოდ სიტყვით მოგახსენებთ. უახლოესი მიზანი, როგორც ყოველთვის, ბატონი ზვიად გამსახურდიასა და „მრგვალი მაგიდის" დისკრედიტაციაა. შორსგათვლილი ამოცანა კი იმაში მდგომარეობს, რომ დააშინონ, დააძაბუნონ და კვლავ ლაგამი ამოსდონ ყველა ადამიანს, მეტადრე კი, ასე ვთქვათ, რესპექტაბელური წრეების წარმომადგენლებს, რათა მათ ღმერთი არ გაუწყრეთ და ეროვნული მოძრაობისკენ არ იბრუნონ პირი, ზვიად გამსახურდიას თანამოაზრენი არ შეიქნან. ძირშივე უნდა მოსხიპონ და აღკვეთონ ყველა ამდაგვარი მცდელობა. თანაც ამას სწორედ ისინი სჩადიან, ვინც წარამარა გვიკიჟინებენ კაცთმოყვარეობაზე, მიმტევებლობაზე, ინტელიგენტურობაზე და რა მაღალ მატერიებზე ალარ.

ბატონი გრიგოლი აუღელვებია იმ ფაქტს, რომ 1990 წლის 24 სექტემბერს ბატონი ზვიად გამსახურდია და „მრგვალი მაგიდის" სხვა წარმომადგენლები „ფილარმონიის დიდ დარბაზში არ მობრძანდნენ — იმ დღეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებთან შეხვედრას სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლებთან შეხვედრა არჩიეს". წერილის ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „პროფესორმა ზაალ კახიანმა იმ შეხვედრაზე ბიბლიური მოსე უწოდა ზვიად გამსახურდიას".

ვერ მოგახსენებთ, ამ ორი თავყრილობიდან რომელს ესწრებოდა თავად წერილის ავტორი, რომელიც ერთობ სკრუპულოზურად აღწერს „მრგვალი მაგიდის" წარმომადგენლების შეხვედრას ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის თანამშრომლებთან, მაგრამ „ქართული ფილმის" მესვეურები იმ დღეს ნამდვილად ფილარმონიის დიდ დარბაზში იყვნენ და კონფერენციის მუშაობაში იღებდნენ მონაწილეობას. მუშაობის მიზანი კი ზვიად გამსახურდიას საშკარაოზე გამოყვანა იყო (სხვათა შორის, ერთ-ერთი პარტიის ლიდერი იმდენად გაიტაცა საკუთარმა მჭევრმეტყველებამ, რომ გამსახურდიას მხილებას აღარ დასჯერდა, აღტკინებულმა და ექსტაზმორეულმა მოგვიწოდა „ჯვარს აცვით!"-ო, თუმცა, საცა სამართალია, ისიც უნდა ითქვას, რომ იქვე დასძინა, ამას პირდაპირი მნიშვნელობით არ ვამბობო; ოღონდაც!)

ამ ღირსსახსოვარ ღონისძიებაზე დამაგვირგვინებელი სიტყვა წარმოსთქვა ბატონმა რეზო ჩხეიძემ. მან, როგორც ასაკითა და მდგომარეობით უფრო სოლიდურმა პიროვნებამ, შედარებით მოკრძალებული წინადადება შეიტანა: „საზეიმოდ გავაცილოთ პოლიტიკურ არენიდან ბატონი გამსახურდია. აი, ეს არის ნამდვილი წამალი. თუ ეს არ მოხდება, ჩვენ ათასჯერ აქ შევიკრიბებით და ეს ყოველგვარი ფაქტები (ბატონი რეზო, ალბათ, გულისხმობდა პაქტებს. — მ. ა.), რომლებსაც ეხლა დავდებთ, წყალში გადაიყრება".

როგორც აღვნიშნეთ, ბატონ რეზოს სოლიდურობა არ აკლია. იგი ისე არ ამჩატდება, რომ „პოლიტიკური არენის" გასუფთავებას საკუთარი პერსონის, ან თუნდაც რომელიმე ნათესავისთვის ეცადოს. იმდღევანდელი გამოსვლიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მას უფრო შორსმიმავალი მიზნები ამოძრავებს: „საქმე მსოფლიოში ისეთ აღიარებულ პოლიტიკურ ფიგურას ეხება, როგორიც არის ბატონი შევარდნაძე ედუარდი. ბატონმა ედუარდმა საქართველოში ყოფნის დროს მრავალი სასიკეთო საქმე წამოიწყო. ეხლა ბატონი ედუარდი ხელმძღვანელობს რა საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკას, მეტად პროგრესულ და დემოკრატიულ ცვლილებების განმახორციელებლად გვევლინება. ჩვენს სამშობლოში მიმდინარეობს ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. გასაგებია, რომ ეს ეროვნული მოძრაობა არ სიამოვნებს კომუნისტურ პარტიას და მის ლიდერებს. ნუთუ თქვენ უბიძგებთ გამსახურდიას, როგორც ამას საქართველოში ლაპარაკობენ, იყოს ავტორი ეთნოკონფლიქტების, რომ ამით კიდევ უფრო აკრძალული ხერხებით დაამუხრუჭოს და მოსპოს ეროვნული მოძრაობის სვლა თავისუფლებისაკენ. სრულიად აშკარად იკითხება ცენტრის განზრახვებისა და ზოგიერთების მოქმედების იდენტურობა: სამაჩაბლოში ცეცხლის ხელოვნურად გაღვივება, საოკუპაციო ჯარების მოთხოვნა და მრავალი სხვა ასეთი ნაბიჯები მთავარ სტრატეგიულ გზიდან აცდენს ეროვნულ მოძრაობას, სახელს უტეხავს მას საერთაშორისო არენაზე. თქვენ... ჩვენ... მე არ მჯერა, რომ ის სიბნელეთა რიგი, რომელსაც ზვიად გამსახურდია ჩადის, თქვენს სახელთან იყოს დაკავშირებული. ალბათ, მანდ მოსკოვში, კრემლში სხვა ვიღაც ბნელეთის მოციქულები ზიან. ჩვენ ეს გვინდა დავიჯეროთ და, პირიქით, გვინდა დაიცვათ საქართველო".

ამ პასაჟის შემდგომი კომენტარი მკითხველისთვის მიგვინდია. კინოსტუდია „ქართული ფილმის" გაზეთის მესვეურებს კი უპრიანი იქნება შევეკითხოთ — სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, 1990 წლის 24 სექტემბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში გამართული თავყრილობის მონაწილენი და თვითმხილველნი, რომელი მორალურ-ეთიკური პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც გრიგოლ ბიჩინაშვილის წერილს აქვეყნებდნენ?! — როგორც ყოველთვის, ალბათ, ამჯერადაც ხალხური ანდაზით: გაღმა შეედავე, გამოღმა დაგრჩებაო.

ბატონებო, გამოღმაც რომ აღარაფერი გრჩებათ...

**მარიკა აბაიშვილი**

## უცხოეთის პრესა

უცხოეთის პრესა

### ახალი მსოფლიო და დიდი სახელმწიფოები

ცვლილებები ევროპის რუკაზე სუპერსახელმწიფოების ძლევნი არ გეგონოთ — მცირე ქვეყნები, როგორიცაა ფინეთი, ჯერ კიდევ იხდიან მეორე მსოფლიო ომის პაქტებისა და განადგურების საფასურს, — წერს მარტი ვალკონენი.

არ შეიძლება დიდმა ქვეყნებმა უბრალოდ გადაყლაპონ თავიანთი შედარებით, სუსტი მეზობლები, — განაცხადეს პრეზიდენტმა ბუშმა და პრეზიდენტმა გორბაჩოვმა ჰელსინკის შეხვედრის შემდეგ.

ჰელსინკის დეკლარაციაში იგრძნობა საგარეო პოლიტიკის ახალი მორალი. ეს მორალი აერთიანებს პრეზიდენტ ბუშსა და პრეზიდენტ გორბაჩოვს, შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებსა და ხალხებს.

ფრთხილად, ყაჩაღებო! თქვენს ნადავლს წაგართმევენ და კანონიერ მფლობელს დაუბრუნებენ.

როცა საბჭოთა კავშირისა და დასავლეთ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრები მოსკოვში ხელს აწერდნენ გაერთიანების ხელშეკრულებას, თანამშრომლობისა და თავდაუსხმელობის ახალ პაქტს, სხვა რამდენიმე დოკუმენტიც შედგა, მათ შორის ის, რომ ქვეყნებმა უნდა ცნონ ევროპის თანამედროვე საზღვრები.

გერმანელი პოლიტიკოსები შვიდი თვის მანძილზე აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ომში გამარჯვებულ ქვეყნებთან, განსაკუთრებით კი საბჭოთა კავშირთან.

მათ ყველა შესაძლებლობა გამოიყენეს თავიანთი ქვეყნისათვის, მაგრამ ბალტიისპირეთის ქვეყნები საჯაროდ არც კი უხსენებიათ. მათ ვერ შეამჩნიეს, რომ ომის პირქუში ტვირთი ჯერ კიდევ ყურადღებას ითხოვს.

გერმანელები მაინცდამაინც არასოდეს არ წუხდნენ ესტონეთის, ლიტვისა და ლატვიის გამო. 1939 წ. სექტემბერში გერმანიის მთავრობამ გერმანია-სსრკ-ს პაქტის ძალით მოუსპო ამ ქვეყნებს დამოუკიდებლობა.

გერმანელმა პოლიტიკოსებმა არაფერი თქვეს ფინეთის, პოლონეთის, უკრაინის ან რუმინეთის შესახებ, რომელთაც ამავე პაქტით წაერთვათ მშვიდობა, ხალხი და ტერიტორიები.

ჰიტლერმა და სტალინმა გაინაწილეს ევროპა. გერმანია ამის საფასურს ომის დამთავრების დღიდან იხდის. მეორეს მხრივ, საბჭოთა კავშირს გავლენის ამ სფეროსათვის არაფერი გადაუხდია. ახლაც, ახალი გერმანიის წარმოქმნასთან ერთად, მას უნდა, რომ დაიტოვოს ის ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც მან ყაჩაღურად მიიტაცა.

ახალმა გერმანიამ დალოცა ევროპის თანამედროვე საზღვრები. ეს არის გავლენის სფეროების მეორე განაწილება, როგორც ეს ადრე მოხდა 1939 წლის აგვისტოში.

მაშ რა მორალი უდევს საფუძვლად საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეხვედრას უმაღლეს დონეზე, მოსკოვში ან ჰელსინკში გაკეთებულ განცხადებას?

თუ ამ დოკუმენტებს პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, შეერთებულმა შტატებმა უნდა დათმონ თავიანთი ზეგავლენა ლათინურ ამერიკაში, ხოლო საბჭოთა კავშირმა — აღუდგინოს დამოუკიდებლობა მეზობელ უფრო სუსტ სახელმწიფოებს და დაუბრუნოს მათ ტერიტორიები. ყველამ ვნახეთ, რომ ამასვე თხოვენ ერაყს. ან იქნებ ეს რაღაც ახალი მორალია, რომელიც საშუალებას აძლევს აშშ-ს, სსრკ-სა და ახალ გერმანიას აკეთონ ის, რის გაკეთებასაც სხვას უშლიან?

რა ცვლილებაა ახლა ძალის პოლიტიკაში? მიეცემათ თუ არა საშუალება მცირე ქვეყნებს საკუთარი თავის პატივისცემის — რომელსაც ასე უმღერის ჰელსინკის კომუნიკე — დაკარგვის გარეშე მოითხოვონ თავიანთი დამოუკიდებლობის, ან ტერიტორიების დაბრუნება? ან შეუძლიათ თუ არა დიდ ქვეყნებს გააკეთონ ასეთი განცხადება ისე, რომ სხვისი ნდობა და მიტაცებული ქვეყნები არ დაკარგონ? შეცვალა ამან ახალი მსოფლიო?

**„გარდიან იუროპი"**

### სასაზღვრო ანეკდოტი

უკანასკნელი ხუმრობა, რომელიც დაკავშირებულია გერმანიის გაერთიანებასთან, ასეთია: ბუში და გორბაჩოვი მოწინავე ტექნოლოგიის წყალობით გაცოცხლდნენ ასი წლის შემდეგ და კითხულობენ გაზეთებს. გორბაჩოვს სიცილი აუტყდა, „რა გაცინებს?" — ეკითხება ბუში. „ყოვლისშემძლე დოლარი 50 პფენინგი ღირებულა", — ამბობს რუსი. ცოტა ხანში ბუშს უტყდება სიცილი. „რა გაცინებს" — ეკითხება გორბაჩოვი. „გერმანია-ჩინეთის საზღვარზე მღელვარება ყოფილა", — პასუხობს ბუში.

**„ტაიმსი"**

# თავისუფალი საქართველო მხოლოდ ბრძოლით შეიძლება დავიმკვიდროთ

(დასასრული)

ოდის იურიდიული დაკანონებისთანავე საქართველომ უნდა შეიძინოს ანექსირებული ქვეყნის სტატუსი. არ არსებობს ლოგიკური თუ იურიდიული არგუმენტი 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის ისტორიული სინამდვილის აღიარების წინააღმდეგ. დღეს საბჭოთა კავშირისა — გორბაჩოვის და რუსეთის — ელცინის უკვე დაპირისპირებული მთავრობები ერთმანეთს მხოლოდ დემოკრატიულობაში შეიძლება გაეჯიბრონ. ამიტომ, ალბათ, რთული და დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად რეალურად მიგვაჩნია დღევანდელი რსფსრ-ს ხელისუფლების მიერ საქართველოს 1921 წლის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტის აღიარება, რაც ხელს შეუწყობს როგორც საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს მიერ საქართველოს ანექსირებულ სახელმწიფოდ ცნობას.

საქართველოს ახლადარჩეულმა მრავალპარტიულმა უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ სამოკავშირეო ხელშეკრულებათა აუცილებელ წინაპირობად უნდა დააყენოს საქართველოს ჭეშმარიტი სუვერენიტეტი, რაც მხოლოდ საერთაშორისო სამართლის სუბიექტად მის აღიარებაში უნდა გამოიხატოს. ამის აუცილებელი წინაპირობა და ერთგვარი გარანტია რუსეთის, სსრკ-სა თუ მსოფლიოს მიერ საქართველოს ანექსირებულ ქვეყნად აღიარებაა. ამჟამად საბჭოთა კავშირიცა და რუსეთიც ერთობ დაინტერესებულია საქართველოსთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებით, რაც იმედს გვაძლევს, რომ აღნიშნული აუცილებელი წინაპირობები, საქართველოს გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების პრინციპული პოზიციის შემთხვევაში, მათი მხრიდან დაკმაყოფილებული იქნება.

საქართველოს გარდამავალი პერიოდის ხელისუფლების ამ პრინციპულ პოზიციას საბჭოთა კავშირი მხოლოდ უხეში ძალისმიერი მეთოდებით შეიძლება დაუპირისპირდეს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გარკვევის პროცესში მესამე მხარის, სსრკ-ს ეს ძალისმიერი ჩარევა (თუ მას ადგილი ექნა) კიდევ უფრო ანაქრონისტულად წარმოჩნდება მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობის თვალში. ამის მიუხედავად, თუ საბჭოთა კავშირი ეცდება ბლოკადისა და იზოლაციის საშუალებით უხეში ზეწოლა მოახდინოს საქართველოს ხელისუფლებაზე, დემოკრატიული წესით მისი ნების ერთადერთი გამომხატველი ახლადარჩეული უზენაესი საბჭო სრული მორალური და იურიდიული უფლებით გამოაცხადებს ორგანიზებულ ეროვნულ დაუმორჩილებლობას უცხო ძალისადმი, რასაც ცენტრი მხოლოდ სახელმწიფო ტერორით, რეპრესიებითა და „ტანკოთერაპიით" შეიძლება დაუპირისპირდეს. ასეთ დროს, ასეთი მოქმედება კი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი პრეზიდენტისაგან შეუძლებლად მიგვაჩნია.

იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული წინაპირობები დრამატულ მოვლენათა გარეშე იქნა დაკმაყოფილებული, საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციისა და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად აღიარების შემდეგ, მთავრდება გარდამავალი პერიოდი. დემოკრატიული წესით ირჩევა თავისუფალი საქართველოს პარლამენტი და მხოლოდ ამ პარლამენტის პრეროგატივაა ნებისმიერ ქვეყანასთან სახელმწიფო სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმება.

**— დღეს სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციები აყენებენ და გააფთრებით იცავენ საქართველოს კოლონიად გამოცხადების იდეას. რამდენად მისაღებია ეს აზრი მრგვალ მაგიდაში გაერთიანებული პოლიტიკური ორგანიზაციებისათვის?**

— უკანასკნელ ხანს ზოგიერთმა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ წამოაყენა აზრი საქართველოს კოლონიად, ხოლო ახალი უზენაესი საბჭოს კოლონიური თვითმმართველობის ორგანოდ გამოცხადების შესახებ. მათი წარმოდგენით, ეს გამოიწვევს მსოფლიო დეკოლონიზაციის პროცესში საქართველოს საკითხის ჩასმას და გააადვილებს დამოუკიდებლობის მოპოვებას. ეს პოზიცია პრინციპულად მცდარად მიგვაჩნია შემდეგ მიზეზთა გამო.

სულ ცოტა ხნის წინათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მსოფლიო საზოგადოებრიობამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა მსოფლიოს დეკოლონიზაციის პროცესის დასრულება — უკანასკნელი კოლონიის, ნამიბიის განთავისუფლება. აქედან გამომდინარე ძნელი წარმოსადგენია, რომ უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს კოლონიად გამოცხადების შედეგად მსოფლიო აზრს შეიცვლის და მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატ პრეზიდენტს კოლონიური იმპერიის მმართველად შერაცხავს. ამასთან, საქართველოს დღევანდელი რეალური მდგომარეობა არც იურიდიულად და არც ფაქტობრივად არ შეესაბამება კლასიკურ წარმოდგენებს კოლონიურ ქვეყანაზე; სხვას რომ თავი დავანებოთ, არ შეიძლება, რომ კოლონიის მკვიდრი ათწლეულთა მანძილზე იყოს მეტროპოლიის ერთპიროვნული მმართველი ან თუნდაც საგარეო საქმეთა მინისტრი, რადგან კოლონიისა და მეტროპოლიის მოქალაქეებს აშკარად განსხვავებული არათანაბარი მოქალაქეობრივი სტატუსი აქვთ. ამასთანავე, გარდამავალ პერიოდში საქართველომ უნდა მოახდინოს ფაქტობრივი ანექსიის შედეგების თანდათანობითი ლიკვიდაცია: შეაჩეროს მის მთელ ტერიტორიაზე საბჭოურ კონსტიტუციათა მოქმედება, შემოიღოს საქართველოს მოქალაქის სტატუსი, დაიწყოს ეროვნული არმიის შექმნა, შემოიღოს საკუთარი სასაზღვრო და საბაჟო სამსახური, მოახდინოს საქართველოს ეკონომიკის თანმიმდევრული განთავისუფლება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციაზე დაყრდნობით შეიმუშაოს ქვეყნის გარდამავალი პერიოდის ძირითადი კანონი და სხვა. მიგვაჩნია, რომ გარდამავალ პერიოდში ერთობ რეალურია მსგავს ღონისძიებათა გატარება, რის შემდეგაც საქართველო თავისი ფაქტობრივი მდგომარეობით კიდევ უფრო დაშორდება კოლონიურ ქვეყანაზე მსოფლიო წარმოდგენებს. საქართველოს კოლონიად გამოცხადების იდეიდან გამოსჭვივის საქმის გაიოლების სურვილი, რათა კოლონიად გამოცხადების შემდეგ გულხელდაკრეფილნი ვისხდეთ და ვუცქიროთ, თუ როგორ იზრუნებს მსოფლიო მორიგი უსუსური და უბადრუკი კოლონიის განთავისუფლებისათვის.

დეკოლონიზაციის პროცესმა ისეთი ერები და ქვეყნები მოიცვა, რომლებსაც არ გააჩნდათ საკუთარი სახელმწიფოებრივი, მით უფრო კი, ევროპული ტიპის დემოკრატიული, სახელმწიფოებრივი ისტორია. სწორედ ამიტომ დეკოლონიზაციის პარალელურად მიმდინარეობდა მოცემულ ტერიტორიებზე ერთა თვითგამორკვევა. ყოვლად დაუშვებელია უძველეს ქართულ მიწაზე დღეს მოსახლე ერებში თვითგამორკვევისა და სახელმწიფო სტრუქტურებად ჩამოყალიბების პროცესის განვითარება. საქართველოს თვითგამორკვევა არ სჭირდება, იგი ისტორიულად არის თვითგამორკვეული. საქართველომ მხოლოდ ოკუპაციისა და ფაქტობრივი ანექსიის შედეგად დაკარგული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობა უნდა აღიდგინოს.

სამწუხაროა, რომ საქართველოს კოლონიად გამოცხადების უმწიფარ პოლიტიკურ იდეას უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილე თუ არამონაწილე ზოგიერთი ორგანიზაცია ულტიმატუმის ფორმით აყენებს, როგორც საქართველოში კონფრონტაციისა და დაპირისპირების მოხსნის ერთადერთ საშუალებას.

საქართველომ, უძველესი კულტურისა და მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიის მქონე ქვეყანამ, თვითონ უნდა შესთავაზოს კრემლსაც და მსოფლიოსაც თავისუფლების მისთვის მისაღები, ღირსეული გზები. სწორედ ამიტომ, ურთულესი გარდამავალი პერიოდის, ერის ნების ერთადერთი გამომხატველი უზენაესი საკანონმდებლო ორგანო 28 ოქტომბერს აუცილებლად უნდა აირჩეს ისეთ პოლიტიკურ ძალთა შემადგენლობით, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ზნეობა, ბრძოლის უნარი და ინტელექტუალური პოტენციალი, რათა საქართველო თავისუფლებამდე მიიყვანონ.

**საუბარი ჩაიწერა დამოუკიდებელი სააგენტო „მაცნეს" კორესპონდენტმა**

**დალი ქვირიამ**

## მსოფლიოს გამორჩეული პოლიტიკოსები



1990 წელს პრაღაში გამოვიდა ვაცლავ ჰაველის წერილების, ესსეებისა და ნარკვევების კრებული საერთო სათაურით — „ადამიანური იგივეობის შესახებ". შემდგენლებმა კრებულს ბოლოსიტყვაობად დაურთეს ვაცლავ ჰაველის მიერ 1982 წელს ბორის საპატიმროდან მეუღლისადმი მიწერილი წერილი. ამჟამად გთავაზობთ, ჩვენი თვალსაზრისით, ამ უაღრესად მნიშვნელოვან წერილს, ხოლო მომავალში სხვა პუბლიკაციებსაც გაგაცნობთ ამ კრებულიდან. ამასთანავე, მკითხველს ვთხოვთ გაითვალისწინოს, რომ ვაცლავ ჰაველის წერის მანერა ერთობ თავისებურია. მთარგმნელი შეეცადა მაქსიმალურად შეენარჩუნებინა მწერლის ორიგინალური სტილი.

# იგივეობის კრიზისი

ცოტა ხნის წინ, ბოსლიდან რაღაც სატელევიზიო რეპორტაჟის დროს, გავაცნობიერე, რომ ძროხა უკვე აღარ არის ცხოველი — ეს არის მანქანა, რომელსაც აქვს თავისი „შესავალი" (ფურაჟი) და თავისი „გამოსავალი" (რძე), აქვს თავისი საწარმოო გეგმა და ჰყავს თავისი მექანიკოსი, რომლის მიზანიც, კერძოდ, მთელი ჩვენი მეურნეობის მიზანია: უმცირესი დანაკარგით აამაღლოს შემოსავალი. ძროხა მართლაც რომ ეფექტურად გვემსახურება, რა თქმა უნდა, იმის ფასად, რომ ის უკვე აღარაა ძროხა, როგორც, მაგალითად, ჩრდილოეთ ჩეხეთი ჩვენთვის საწვავის მნიშვნელოვანი წყაროა (თუკი, რასაკვირველია, შეიძლება ასე ეწოდოს თიხას ყავისფერი ნახშირის მინარევით) იმის ფასად, რომ იგი აღარაა ჩვენი სამშობლოს ნაწილი (რაკიღა იქცევა რაღაც შუალედად მთვარესა და ნაგავსაყრელს შორის). ვფიქრობ, ეს „წვრილმანები" საკმაოდ თვალსაჩინო ილუსტრირებაა იმისა, რაც ამ ცივილიზაციას დაემართა; კერძოდ, რის გამოც იგი ადრე თუ გვიან (თუ არ მოხდება „რაღაც", რისი იმედიც ყველასა გვაქვს და წარმოდგენაც კი არ შეგვიძლია იმისა, თუ რა მოხდება) განადგურდება — ადამიანმა სამყარო იმგვარი გზით მოიხელთა, რომ იგი, ფაქტობრივად, დაკარგა; ისე დაიქვემდებარა, რომ გაანადგურა (როგორც იმ მეცნიერმა, რომელიც კლავს არსებას, რათა იგი მიკროსკოპის ქვეშ არ მოძრაობდეს). ამ ტრაგიკული ქმედების მიზეზები, ვფიქრობ, ნათელია— აბსოლუტური ჰორიზონტის გამოცდილების კრიზისს, რომელიც საკუთრივ ჩვენი ცივილიზაციის სულიერი სტრუქტურიდან აღმოცენდება და მისითვე მარად ღრმავდება, მივყავართ არსებობის მთლიანობის აზრის ურთიერთკავშირის, მისი თვითმყოფადობის დაკარგვისაკენ, სამყაროს მოვლენებიდან ქრება მათი იდუმალი გონივრულობა (ისინი აღარც იდუმალნი არიან და აღარც გონივრულნი). ყოველივე იცვლება „სტერილურობით" და რაც უმნიშვნელოვანესია — აბსოლუტური ჰორიზონტის გამოცდილების კრიზისს ადამიანი კანონზომიერად მიჰყავს სამყაროს წინაშე და სამყაროს მიმართ ცხოვრებისეული პასუხისმგებლობის კრიზისისაკენ. ანუ საკუთარი თავის წინაშე და საკუთარი თავის მიმართ პასუხისმგებლობის კრიზისისაკენ; სადაც არ არის ეს პასუხისმგებლობა, როგორც ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის გონივრული საფუძველი, გარდაუვლად ქრება იგივეობაც, როგორც ამ ურთიერთობით მოცემული და უცვლელი ადგილის მქონე სამყაროში. ასე იკვრება წრე და შეიძლება აფორისტულად **შეჯამდეს — რაკი ადამიანმა წაართვა ძროხას უკანასკნელი ნარჩენი პირუტყვული თვითმყოფადობისა, მან თავის თავსაც წაართვა საკუთარი ადამიანური იგივეობა** და პირუტყვად იქცა. და, მართლაც, მომხმარებლური ცხოვრების ჯოგურობის ბრწყინვალე მაგალითია თანამედროვე მიკრორაიონები და ბრწყინვალე იარაღი — **ტელევიზია, ადამიანის დაშლა მის ცალკეულ** არასახელდებულ ფუნქციებად (მწარმოებელი, მომხმარებელი, პაციენტი, მძღოლი და ა. შ.), არასახელდებული საზოგადოებრივი სტრუქტურების პირისპირ მისი სრული დაძაბუნება, მისი კომპლექსური ადაპტაცია საერთო „მორალურ" ნორმასთან, რომელიც ყველაფერ იმის უარყოფას წარმოადგენს, რაც ჯოგური ცხოვრების ჰორიზონტს სცდება — ყოველივე ეს ის მეთოდებია, რომლებიც ადამიანურ იგივეობას სულ უფრო და უფრო ღრმა და ყოვლისმომცველ კრიზისში აგდებს. როგორ მჟღავნდება ასეთი კრიზისი? ათასგვარი სახით: ადამიანი, გაბმული „თვითმოძრავ" საზოგადოებრივ სტრუქტურაში, მასში იქცევა მის მოლეკულად მისივე თვისებებით, რაც ნიშნავს, რომ იგი კარგავს თავის სახეს, ხასიათს, ენას და იქცევა რაღაც მატერიალიზებულ ფრაზად, ეჩვევა საკუთარ თავში მანიპულაციებს და ბოლოსდაბოლოს ხდება შინაგანად ამ ორის გაიგივება, რითაც ადამიანი ისევ უარს ამბობს საკუთარ თავზე; მოკლებული ისტორიის ჰორიზონტს, რომელთანაც შეიძლება შემოქმედებითი კავშირი ჰქონოდა, როგორც მის სუბიექტს, იგი ვარდება „უჟამობაში" და მოკლებულია სამშობლოს „კონკრეტულ ჰორიზონტს" (თუ ვცხოვრობთ მიკრორაიონში, ცხადია, არა აქვს მნიშვნელობა, სად მდებარეობს ეს მიკრორაიონი — მიკრორაიონები ყველგან ერთნაირია), აღმოჩნდება რაღაც უსახელო „არა-სივრცეში" (ეგზისტენციალური სივრცის და დროის დაშლა იგივეობის დაშლასთან ერთად ქმნის ზიარ ჭურჭელს); „სამყაროს წარმოსახვის" მდინარებასთან ბრმა იდენტიფიკაცია და სამყაროს მოხელთების შეუძლებლობა აბუნდოვნებს პასუხისმგებლობას სამყაროს წინაშე და აბსტრაქტულს ხდის ადამიანურ „მე"-ს — რაიმე ურთიერთკავშირს იმისას, რაც იყო ანდა უნდა ყოფილიყო იმასთან, რაც არის —ერთხელ და სამუდამოდ განსაზღვრავს ადამიანს თავის მიღმა და იმ გარემოს მიღმა, სადაც უნდა ყოფილიყო დასაქმებული, რითიც, ცხადია, ამსხვრევს ნებისმიერ ურთიერთკავშირს იმისას, რასაც ამა თუ იმ წუთში თავად ადამიანი წარმოადგენს მასთან, როგორიც არის ადამიანი ოდესმე, სხვა დროს. ამგვარად, ადამიანი რჩება საკუთარი თავისა და საკუთარი სიცოცხლის თავმდებად — გარდაუვლად **კარგავს თავდაჯერებულობასა და სრულუფლებიანი პიროვნების ღირსებას, იქცევა ჭაობის მასად, რომელიც, როგორც ნევრი, მთლიანადაა დამოკიდებული მთელ ჭაობზე** (ნუთუ არ არის სევდიანად ნიშანდობლივი, რომ თავისებური ხალხის უდიდესი სიმჭიდროვით, რაგინდ თავისებურნი და საცოდავნიც არ უნდა იყვნენ ისინი, გამოირჩევა — როგორც ისევ და ისევ ვაცნობიერებ ამას — საპატიმრო?)

სამყარო, რომელსაც თანამედროვე ადამიანი ქმნის, მისივე მდგომარეობის ხატია და ეს მდგომარეობა ურთიერთღრმავდება. ეს არის სამყარო, რომელიც ადამიანს, ასე ვთქვათ, „ხელიდან გაუსხლტა" — მას მიერეკებიან ძალები, რომლებიც სრულად ღალატობენ ცალკეულ ჰორიზონტებს და კერძო პასუხისმგებლობას. ამასთანავე, რაც უფრო ძლიერია ეს ძალები, მით უფრო ძლიერია „მაგნიტური ველიც", რომელიც ადამიანს უფრო და უფრო ღრმად უბიძგებს უძლურებისაკენ, გაუცხოებისაკენ, გაუპიროვნებულობისაკენ და ბოლოსდაბოლოს — რაც, ალბათ, უკვე „ფსკერია" — შემგუებლობისაკენ და ამ მდგომარეობით გულგრილი კმაყოფილებისაკენ.

ყოველივე რომ ასე ცუდია, რა თქმა უნდა, აღმოჩენას არ წარმოადგენს. ყოველივე ამას სხვადასხვა თვალსაზრისით ეძღვნება ათასობით წიგნი, თანამედროვე ადამიანი ფუნდამენტურია და ყველაფრის დათვლა იცის, ამიტომაც უკვე ბევრჯერ გაუთვლია, საით მიექანება სამყარო, რომელსაც ქმნის და მრავალჯერაც აღუნიშნავს საკუთარი უუნარობა, რომ უშველოს მას. ნუთუ მართლაც არაფრის გაკეთება არ შეიძლება?

ვფიქრობ რა, როგორც ის, რადაც გადამაქცია ამ გარემომ — ანუ როგორც ადამიანურ იგივეობას მოკლებული ჭანჭიკი გიგანტური აგრეგატისა — მე მართლაც არაფრის გაკეთება არ შემიძლია. დედამიწის განადგურებას, ერების გაბრიყვებას, ათასობით ახალი თერმოდინამიური ბომბის გაკეთებას, რა თქმა უნდა, ვერ შევწყვეტ. მაგრამ ვფიქრობ რა, როგორც ის, რაც ყოველი ჩვენგანი დაბადებით არის — ანუ რადაც გახდომის ძირეული შესაძლებლობა აქვს ყოველ ჩვენგანს გარემო ვითარებისაგან დამოუკიდებლად, ე. ი. როგორც სრულუფლებიანი ადამიანური არსება, რომელსაც შესწევს ძალა პასუხი აგოს სამყაროზე და სამყაროს წინაშე — მაშინ მე, ცხადია, ბევრი რამის გაკეთება შემიძლია.

მაგალითად, შევეცადო მოვიქცე ისე, როგორც ვფიქრობ რომ სწორია და როგორც, ჩემის ღრმა რწმენით, უნდა იქცეოდეს ყველა — სრული პასუხისმგებლობით. უკუთქმაზე, რომ ამას არა აქვს მნიშვნელობა, ვპასუხობ ძალზე მარტივად — აქვს!

**ბორის საპატიმრო,**
**1982 წლის მარტი.**

**ჩეხურიდან თარგმნა მაკა ნაჭყებიამ.**

# ზვიად გამსახურდიას გამოსვლა საქართველოს ტელევიზიით

(დასასრული)

**მის გამოსვლას კომპარტიიდან შესაფერის შემთხვევაში და არავითარი უარყოფითი დამოკიდებულება არა გვაქვს მასთან. არც იმას დავმალავთ, რომ მათში ბევრი მომხრეც გვყავს. ეს ყველასათვის ცნობილია. ვიმეორებ, ეს არ ეხება იმ ფუნქციონერებს, რომლებიც ჯიუტად განაგრძობენ ბრძოლას ეროვნულ მოძრაობასთან და ცდილობენ მის დისკრედიტაციას. ასეთია ჩვენი დამოკიდებულება კომპარტიასთან.**

**გვისვამენ შეკითხვებს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობის დარბევის შესახებ. ეს დარბევა ჩვენგან არ მოდიოდა, ჩვენგან მოდიოდა მხოლოდ საპროტესტო აქცია უშიშროების კომიტეტის გაუქმების მოთხოვნით, რომელიც შემდეგ გადაიზარდა ამ დარბევაში. იქ იყო დიდი რაოდენობით უცხო ხალხი, რომლებმაც დაიკავეს შენობა. ჩვენ დარბევისკენ არ მოგვიწოდებია. ასეთია ჩვენი პოზიცია ამ საკითხებთან დაკავშირებით.**

**მე მინდა შევეხო ერთ ძალზე სამწუხარო შემთხვევას. როგორც მოგეხსენებათ, ამას წინათ მოხდა საშინელი მკვლელობა „თეთრი გიორგის" შტაბ-ბინაში. ამასთან დაკავშირებითაც ჩვენ ბევრს გვეკითხებიან. ჩვენ კონკრეტულად ჯერ ვერავის დავადებთ ხელს, ვერცერთ ორგანიზაციას, ვერცერთ პიროვნებას, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით ეს არის პოლიტიკური მკვლელობა, მიმართული მრგვალი მაგიდის წინააღმდეგ.**

**გვეკითხებიან პატიმართა ამნისტიის შესახებ. არც იმას დავმალავთ, რომ ვრცელდება დეზინფორმაცია პატიმრობის მოხდის ადგილებში, თითქოს ჩვენ, ოპოზიცია, წინააღმდეგი ვართ ამნისტიისა, თითქოს მთავრობა მომხრეა ამნისტიისა და ჩვენ კი ვეწინააღმდეგებით. ესეც დეზინფორმაციაა. ჩვენი გამარჯვების შემთხვევაში ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იქნება ამნისტია.**

**გვთხოვენ ჩვენი პოზიციის განმარტებას ახლახან დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია მიუღებლად არასუვერენული ქვეყნის მიერ რაიმე ხელშეკრულების დადება სხვა ქვეყნებთან. სანამ საქართველო არ იქნება დამოუკიდებელი, სანამ იგი არ იქნება სამართალ-სუბიექტი, მან არ უნდა დადოს ხელშეკრულება არც ერთ ქვეყანასთან თუ რესპუბლიკასთან. ასეთია ჩვენი მოსაზრებანი.**

**გვსურს დავამშვიდოთ მოსახლეობა, რომ ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული ის შიში, რომელიც დაკავშირებულია ოპოზიციის გამარჯვებასთან და საქართველოს ხვალინდელ დღესთან.**

**მინდა ვუსურვო ჩვენს ქვეყანას, მხარი დაუჭიროს ამ არჩევნებში ოპოზიციას, რათა გადაიდგას მძლავრი ნაბიჯები საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისაკენ.**

1990 წლის ოქტომბერი

ხმა მიეცით
**ზვიად გამსახურდიას**
და
თავისუფალ
საქართველოს
ბლოკი № 12

რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი
სარედაქციო კოლეგია: ზვიად გამსახურდია, მუხრან მაჭავარიანი, ტედო პაატაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, თემურ ქორიძე, ნოდარ წულეისკირი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა №
ინდექსი?..
იბეჭდება ოფსეტური წესით ხოშარაულის ქუჩა №29
ფასი 50 კაპ.